FS 4134
2

გამოცემა „ქარ. შორის წ.-კითხვის გამავრც. საზოგად." № 72

# ქართველი პოეტების
# რჩეული ლექსები

(სურათებით და მოკლე ბიოგრაფიებით)

წიგნი II

I. ალ. ჭავჭავაძე. II. ნიკ. ბარათაშვილი. III. გ. ერისთავი. IV. გრ. ორბელიანი V. მიხ. თუმანიშვილი. VI. ივ. კერესელიძე. VII. ვახ. ორბელიანი.

სტამბა „შრომა" (თავართქ.), ფრეილინის ქ. № 5. ტფილისი, 1904.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საზოგადოების გამოცემანი

### I. ისტორიული წიგნები:

ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . . . . . „ 40

### II. ბუნების მეტყველება:

ამბავი ცხოველთა სამეფოსი, რუბაკინისა. . . . . . „ 50

ბუნების ცოდნა, პოლ ბერისა. . . . . . . . . „ 25

ყვავილთა შორის, თარგ. ს. შუბათელისა . . . . . „ 45

ცა და დედამიწა ივანოვისა, თარგ. დ. გიორგობიანისა . „ 20

### III. სახელმძღვანელოები:

ბუნების კარი, ყდით . . . . . . . . . . . „ 80

გეომეტრია, მ. ყიფიანისა . . . . . . . . . „ 25

დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა. . . . . . . . . „ 40

კოკორი, მისივე . . . . . . . . . . . . „ 10

კონა, ყდით, მისივე . . . . . . . . . . . „ 40

კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა, რ. ჯანაჯაშვილისა „ 25

წყარო, II წიგნი, არ. ქუთათელაძისა. . . . . . . „ 50

### VI. კაზმული სიტყვიერება:

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი . . . . . . . „ 15

ასპინძის ომი, მესამე გამოცემა, ი. გოგებაშვილისა . . „ 5

ალი, ნ. ლომოურისა, მეორე გამოცემა . . . . . . „ 10

ბარტეკ ძლევამოსილი, მოთხრობა ჰენრიკ სენკევიჩისა . „ 25

გულივერის მოგზაურობა, სვიფტისა სურათებით, თარგმ. ცისკარაშვილისა, გამოცება მეორე . . . . . „ 30

ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, ი. გოგებაშვილისა . . „ 5

ვეფხის-ტყაოსანი, ყრმათათვის ნაამბობი, გ. იოსელიანისა. „ 25

ვეფხის-ტყაოსანი, 4 პორტრეტით და 21 სურათით, მეცხრამეტე გამოცემა . . . . . . . . . . „ 60

თხზულებანი რ. ერისთავისა, II ტ. . . . . . . . „ 20

„ ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . . . . . 1 —

„ პუშკინისა . . . . . . . . . . . . „ 50

899.962.1-7

გამოცემა „ქარ. შორის წ. კითხვის გამავრც. საზოგად." № 72

# ქართველი პოეტების
# რჩეული ლექსები

(სურათებით და მოკლე ბიოგრაფიებით)

წიგნი II

K 11.182 / 2

I. ალ. ჭავჭავაძე. II. ნიკ. ბარათაშვილი. III. გ. ერისთავი. IV. გრ. ორბელიანი V. მიხ. თუმანიშვილი. VI. ივ. კერესელიძე. VII. ვახ. ორბელიანი.

სტამბა „შრომა" (თავართქილაძისა), ფრ. ქ., № 5. ტფილისი. 1904.

Дозволено цензурою. г. Тифлисъ, 7-го октября 1904 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

FS 4134/2



# I. ალექსანდრე ჭავჭავაძე

# ალექსანდრე ჭავჭავაძე

დაიბადა 1786 წ. პეტერბურგში, სადაც მამა მისი, გარსევანი, დანიშნული იყო ერეკლე II-ის წარმომადგენელად რუსეთის იმპერატორის კარზე. 5 წლის ალექსანდრე მშობლებმა ფრანგულ პანსიონში მიაბარეს, სადაც ფრანგულ ენას სწავლობდა და საზოგადოდ ფრანგულ ყაიდაზე იზრდებოდა. 13 წლისა ჩამოვიდა ტფილისში და აქ შევიდა კეთილშობილთა სასწავლებელში. 1803 წ. ალ. ჭავჭავაძე მიემხრო ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა, რისთვისაც ალექსანდრე ციმბირში გადაასახლეს. რამდენიმე წლის შემდეგ დანაშაული აპატიეს და ალექსანდრე პაჟების კორპუსში შევიდა, პეტერბურგში. კურსის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, შევიდა სამხედრო სამსახურში, მონაწილეობას იღებდა სხვა-და-სხვა ომებში და მამაცი მხედრის სახელი დაიმსახურა.

მთავრობა ნდობით ეპყრობოდა ალექსანდრეს და ხშირად ანდობდა მძიმე საქმეებს. კახეთში რომ გლეხების აჯანყება მოხდა, მთავრობამ ალექ. ჭავჭავაძე გაგზავნა მათ დასამშვიდებლად. იგი გაგზავნეს ახალციხეში შავის ჭირის გაჩენის მიზეზების გამოსაკვლევად. მასვე მინდობილი ჰქონდა 1843 წ. კახეთის მილიციის მოწყობა. ა. ჭავჭავაძე გარდაიცვალა ტფილისში 1846 წ. 6 ნოემბერს. გარდა ორიგინალურ ლექსებისა, ა. ჭავჭავაძეს აქვს გადმოთარგმნილი ფრანგულიდან რამდენიმე პიესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1. ვაჲ დრონი, დრონი!..

ვაჲ დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად, [1])
წარივლტვნენ, გაჰქრენ სიზმარებრ ჩქარად.
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
მოვშორდი მოყვასს, ძალს ცხოვრებისას,
არ გიკვირსთ, მხედავთ კვლავცა სულ მდგარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი,
იმედოვნებას ვუწოდებ ფარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად.
იგიცა მელტვის, მიბრალეთ ამით,
უსახოდ ყოფა სჯობს მისთვის მკვდარად...
მე იგივე ვარ მარად და მარად.
მე ერთმან ერთ გზის ერთს ვუძღვენ თავი,
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად—
მე იგივე ვარ მარად და მარად.
თუმცა მას ჩემებრ უცავს სიმტკიცე, [2])
ვიბრალებ რაყიფს*), შვრების მომცდარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად.

---

[1]) ვარიანტი: ნაქებნი მტკბარად.

[2]) თუ მასცა ჩემებრ.

*) რაყიფი—ორი ერთის ტრფიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰსაჯეთ: პყრობილმან უწყის ტრფობა?
სადა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!

## 2. მუხამბაზი ლათაიური

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, არიალალი,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა, თარიალალი!
შემოდგომამა ბახუსი,
საწნახელში ჩააყენა!

რა გინდ ზამთარი ჰყინავდეს,
გინდ ყვავიც ვერა ფრინავდეს.
ვერ შეგვაშინოს სიცივემ,
თუ თავში ღვინო ბრწყინავდეს.

მინდა ვსვა—საღვინე მამე,
მოძღვარო, დასტური დამე!
წყლის ყლაპვა ცოდვილთ წესია,
წირღვნაა ამის მოწამე.

ნოემ რა ერთხელ ინება,
ყურძნის წვენის გემება,
თვითონ ნუნუას მიუჯდა,
წყალი პირუტყვთ დაანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟკაცნო, მოდით დავლიოთ,
სჯობს, რომ ღვინო დავსძლიოთ, [1])
ომამდინ სისხლად იქცევა,
მერმე ბრძოლაში დავსთხიოთ.

რა ომის ცეცხლი ასტყდება
ბრძენი სიფრთხილით წახდება;
მაგრამ ღლეული მაშინვე
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება!

ჭკვიანო, ნუ შვრები უბედვით,
შენ წინ ვერ მიხვალ გაბედვით,
გულს ომამდისვე გაიხეთქ,
განსაცდელთ წინასწარ ხედვით.

დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა.
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს
და ლოთი გამარჯვებასა.

აქიმო, თუ გაქვს ქამალი*),
ჰსცადე ეს ჩემი ნასწავლი:
რაც სენი უკურნალ იყოს,
ღვინოა იმის წამალი!

ბერებო, თქვენც მეთანხმებით,
ღვინის ქებისა ხსენებით,
რჯულისთვის მაინც დავლიოთ,
მაჰმადის გამოჯავრებით.

---

[1]) სჯობს, რომ ღვინო დავლიოთ.

*) ქამალი—ნეშტარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა სოფლისა ცხოვრება
ვერცხლით არ მოიპოვება:
მდიდარნი ბევრნი ყოფილან,
ოხრათ რჩენიათ ქონება.

მაშ მოდით ისევ ღვინითა,
დრო გავატაროთ ლხინითა,
ქეიფი მაინც მოგვივა,
გოგრითა ვსვათ, თუ ჩინითა.

როს დავესწრათ გაზაფხულსა,
ველსა ვსხდეთ მწვანით შემკულსა [1]),
ჩვენ წითელ ღვინოს ვეწაფნეთ,
ვარდი ვანებოთ ბულბულსა.

ჭოჲ საყვარლისა ვერ მნახო,
როდემდის იგლოვო ახო?
აბა, შენც ჩვენთან ჩაღლივე,
თუ რომ შენც არ შემოსძახო!

ზაფხულს ღამე თუ დილითა,
ვერვინ ვერ იშვებს გრილითა;
ჩვენც სიცხე ვერას დაგვაკლებს,
ვსთვრეთ, გავატაროთ ძილითა!

---

[1]) ველსა ვსხდეთ მწვანეთ მოსილსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3. მაისის ვარდმან.

მაისის ვარდმან ფურჩვნილმან,
ბეზეკმან*) მწვანით მკობილმან,
ბულბული ათრო სუნითა,—
რა ქნას აშიყმან თრობილმან?
მოსთქვამს: ამაყო და ზვაო,
შეუბრალეო, გულქვაო!
ხელი რად უფრო მახელე,
ჭოჲ ჭირზე ჭირის დამრთაო?
სისხლითა ჩემით დებულო,
ქვეყანად ამით ქებულო,
ესე რა მიქმენ, უმადლოვ,
ჭოჲ ვარდო, ღმობა კლებულო!
მარქვ, ეკლოსანობ ასე რად,
თუ არ გულისა სასერად!
უწყალოვ, რაზომცა ვსტირი,
ცეცხლი ჩემი გჩანს სამღერად...
ვარდმან მიუგო ღიმილით:
მებრალვი გულის ტკივილით!
მაგრამ აშიკი ჭხამს იყოს
ხან მღერით და ხან ტირილით.
შეიმცერ ცრემლთა მრავლობა
და ვალალებით გალობა!
ნიავმან გბეროს, გაგიქროს—
თუმც არ სახმილი**),—მთვრალობა!

---

*) ბეზეკი—ელვარე. **) სახმილი—ფურნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4. სიყვარულო, ძალსა შენსა.

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს?
ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეუმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეზრახვის, რომ შენგამო ვარდს შეჰყეფდეს!

—

სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა,
სჯულსა შენსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა.
ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზა გაქვს, ჰგიებ საცა,
გულები გყავს ქვეშევრდომად, ამას მეც ვგრძნობ და თვით სხვაცა.

—

შენის უღლისგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რაღმე ვის!
თუ შენ ხარ ვნების მიზეზი, ღხენაც შენგან არ გვეძლევის?
ნამდვილ კეთილ არს განცხრომა, იგი ნუმც-ოდეს გვეღლევის,
მაშა ცუდია, თუ მაში სიბნელეც [1]) არსით ერევის!

---

[1]) სიძნელეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5. ჟამნი ჰრბიან.

ჟამნი ჰრბიან, შენცა მელტვი,
ჰოჲ სულგრძელო საყვარელო!
როს მომიხვალ, როს დამტკბობ,
ეჭა წამო, სანატრელო!

ბაგე ვარდო, ნამით სველო
სუნნელთაგან მომსუნთქველო[1]),
შუქმან შენმან განმანათლოს,
ჰოჲ სპეტაკო ზამბახთ ველო!

ცრემლნი ჩემნი ალს გულისას
ვერად აკლებს ძალსა წვისას;
ესე ცეცხლი ეერვინ აქროს,
თუ არ შენვე აღმგზნებელო![2])
ბაგე ვარდო და სხვა,

მზეს მიხედე, მარად დილით,
ცრემლს ვით უშრობს მდელოთ სხივით.
დილა ჩემი როს გათენდეს,
პირო ბადრო და ნათელო!?
ბაგე ვარდო და სხვა.

თვალნო, რაზომც ჰღვრიდეთ ცრემლთა,—
გმართებსთ მისთა ვერ მჭვრეტელთა!

---

[1]) ბაგე ვარდო, ნამით სველო, სუნნელთა გამომსუნთქველო!
[2]) არ თუ შენვე აღმგზნებელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებათ, შენ რად შმაგობ,
მისგან განუშორებელო?
ბაგე ვარდო და სხვა.

გავს ნამდვილი ტრფიალება
მოშორებით არ განქრება;
რაზომ მელტვი, უფრო გეტრფი,
სახილველად სასურველო!
ბაგე ვარდო და სხვა.

საუკუნოდ გინდ ჰყრობილი
უწამლოდ ჰკვნესდეს კოდილი,
ტანჯვისათვის ვინ სთქვას „შაბაშ!“
თვით განსაჯე, ულმობელო!
ბაგე ვარდო და სხვ.

ესდენ სულთქმა, ესდენ ვაი,
ესდენ ოხვრა და მოთქმანი,
თუცა გესმის, რად არ მეტყვი:
ვიგრძენ, კმარა, ჰსდუმენ, ხელო!
ბაგე ვარდო და სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 6. სხვა და სხვა დროის კაცი.

ეს სოფელი, სამყო ძნელი, მწვენებელი ჭმუნვის ალთა!
რა ვიშვებით, მყისვე ვსტირით, ვით წინად მგრძნი მომავალთა!
მოვიზრდებით, წიგნის კითხვით არ გაგვიშრობს მწრთვნელი
თვალთა,
ჟამი გვიროკს, იგი გვიძახს: შეუდექით სიბრძნის კვალთა.
რა ჰასაკსა შევალთ, ახლად ჭირი უფრო გვემრავლების!
თვალი გულს ჰსცვლის, გული გრძნობას, გრძნობა ტრფობას
ემსჭვალების;
სახე რამე საყვარელი დაგვატყვევებს თვისებრ ნების,
და გლახ შეგვიქმს პატიმარად, მკვნესარად და მთქმელად ვების.
ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს
წუხვა:
არა ვკმაობთ საკმაოთა, ნდომა ჩვენი ეზომ უხვ-ა,
გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა,
ქუხვა;
რა ვერ ვპოებთ საწადელსა, შეგვექნების შურით ჭმუხვა.
ოდეს წელთა ტვირთვის ზიდვით ქედსა შვილდებრ მოვი-
ხრებით,
ყოველთაგვე მოვძაგდებით, ზნე გვეცვლების გრძნობის კლებით;
სიკვდილისა წინამძღვარად მოვლენ სენნი მახვილ დებით,
მათგან ერთი გვცემს და გვეტყვის: „ახით ნაშვნო, მოკვდით
ვებით!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 7. ვაჲ სოფელსა.

ვაჲ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა,
კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა
უსაფუძვლოთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!
აქ აქებენ ძვირსა მზაკვარნი სულნი,
სძრახვენ კეთილ-მოქმედთ შურით შემკულნი;
ზოგადნი არიან გამდიდრებულნი,—
განა რითა, ძმანო?
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
სამეფონი ურთიერთსა მცველობენ,
შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მხევლობენ;
მდიდრდებიან, რომელნიცა მძლევლობენ,
და ყვავილოვნებენ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა ზედა,
სად სიმართლე მისგან შენარაზედა
მისთ ყვავილთა ფერხით ლახავს გზაზედა,
რომელნი სჭკნებიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
გარნა მძლეცა შემდგომ სხვისგან იძლევის,
თვისგან ქმნილი თვისდანვე მიექცევის,
ყველაკაი წარუვალს, განელევის,
რაცა ჰქონდა პოვნილ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადნიმე სარგებლის საპოვნელად
დაარღვევენ სჯულსა დაუყოვნელად;
არ დაზოგვენ მსგავსთა თვისთა საკვლელად,
შეჰკრებენ საუნჯეს
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეწით.

ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით,
არნ მოცულნი უმრავლესითა ურვით,
ფიქრ--მრავლობენ განდიდებისა სურვით,
ატარებენ ჟამთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეწით.

მოხელენი, მათ გარეშე მდგომელნი,
ძმათა თვისთა შურ-მტრობისა მქონელნი,
ჰკვლენ ერთმანერთს, ნაცარცვთ გამორჩომელნი,
და შეექცევიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეწით.

რომელნი ამწარებთ დარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდდეთ მათთან თანასწორებას!
არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეწით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 8. თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ!

Თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ!
ერთგზის თქვენცა ტრფიალება
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ.
მეცა ვიყავ მოქადული,
ვიდრე ჩემად მქონდა გული,
ჭირი ვერად შემიმპყრვიდა,
აშიუთ მტანჯვი სიყვარული.
თუ ვინ ვნახი ფერმიხდილი,
შვენებისდა მონად ქმნილი,—
ვსთქვი: თუ კაცსა ვითა შვენის,
გული ესრედ უძლურ ლბილი!
მაგრამ ჩემიც სულის ძალა
ერთმან წამმან სრულად ჰსცვალა:
გნახე, და მყის შენმა სახემ
შემიპყრა და შეცამსჭვალა!
მომესია სევდათ გუნდი
შემომერტყა ბნელი ბუნდი;
ჯაჭვი დამსდვა მონებისა,
კისრად ვიდე და დავდუმდი.
მაშინ ვიგრძენ მეყვსეულად
სისხლი ცეცხლებრ აღგზნებულად;
ცრემლიანმან და მოხრავმან
ვედარ ვიცან თავი სრულად.

## 9. გოგჩა.

გოგჩა, ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მბაძველი,
ოდესმე ზვირთთა აღქაფებით ჰღელავს მრისხანედ;
ზოგჯერ, ვით ბროლი გულ-უბრყვილო წმინდა, უძრავი,
თვის შორის ჰხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ.
მაგრამ ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაძვით მმოსველნი,
საგლოვო ნიშნი შენობათა კვლავ ეროვანთა, [1]
სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი,
და სად დღეს ვჰხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა, —
ჭმუნვათა თვისთა მნახველთაცა უზიარებენ.
უდაბურება, მჩუმარება, არა-რაობა
თვალთა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ [2]
და უნებლიეთ წარმოდგება ოხრვით ეს გრძნობა:
აქა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აქა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აქა ჩვენისა მომავლისა ნამდვილი ხატი;
მხოლოდ აწმყოზე რას დაჩმულ ხარ, ხედვავ ბრმობილო!
ესე კამარა ძლივ საცნობი ყოფილი ტაძრად,
სად კვლავ მეფენი მოწიწებით იდრეკდენ მუხლთა,
სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად
და ცისა მიმართ გრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა,
დღეს ეს ნაქცევი, სახიერად მაჩრდილობელი,
ჰხედავს თვის ქვეშე დამჩოქველად ოდენ პირუტყვთა,

---

1) საგლოვო ნაშთნი შენობათა.
2) თვალსა და გულსა კაცისასა.

K 11.182
FS 4134
2

ზოგჯერ ნადირთა, ზოგჯერ მხეცთა, და ხან წარმვლელთა
მუნ შეაფერებს საქონელთა, შორით ზიდულთა!

ეს გროვა ქვათა სახე შლილის ოთხკუთხედისა
ადგილ არს, სადა სავაჭრონი მდიდრად წყობილან;
სომეხნი მკრთალნი ხელოვანნი მომგებლობისა, 1)
პირსა ქვეყნისას ამა საქმით ადრივ ცნობილან.

მაშინ მათ შორის ხშირ ყოფილა ქურურთა მქონე
არა-თუ ვეცხლით, ნდობითაცა ყოვლად მდიდარნი.
აწ მტვრად აღგვილან იგი ძალი და იგი ღონე,
მათთა განთქმულთა შეძლებათა წარშლიან კვალნი! 2)

მიხედე ამა ვერცხლსა ვაკეს ქვა-ყრილსა ბნელად,
კვლავ ასპარეზსა, სად ჰქონიათ ტაიჭთა სრბოლა,
ჩოგნის ტაცება ჭაბუკ-მხედართ გამოსაცდელად,
შუბთა ტრიალი, ჯირითით ტყორცა და ისართ სროლა.

ერთ გზის ესეცა ქვანი შავნი, დღეს დახავსილნი,
ურთიერთთანა კავშირობით ამაღლებულან;
მკუთვნელნი მათნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი,
ოდესმე მათში განცხრომილან და განშვებულან.

აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად,
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა;
აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად;
ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ ერთმანეთთა.

რავდენთ ბანოვანთ შვენებანი ახლად მშლილობნი
ჭავლის სიწმინდეს მიუზიდავს ნაპირს ამ ტბისას;

---

1) სომეხნი, მხნენი ხელოვანნი მომგებლობისა.

2) მათთა განთქმულთა შეძლებათა წარშლილან კვალნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდნი, ზამბახნი და მიხაკნი და გიშრის მწყობრნი
რავდენ გზის ტურფად გარდუდია სარკესა წყლისას!?
რავდენ გზის მთვარეს, თავ-მომწონეს მათთან შთახედვით,
უგრძნია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლვილა!
მაგრამ რა!?... დროს მსრველის ცელით, ყოვლთა წარწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!




# II. ნიკოლოზ ბარათაშვილი

## ნიკ. ბარათაშვილი

დაიბადა 22 ნოემბერს 1816 წ., ძველებური თავადიშვილის ოჯახში. დედა-მისი იყო გრ. ორბელიანის და; ქართული წერა-კითხვა დედამ ასწავლა, მერე მშობლებმა მიაბარეს კოლოუბნის სამრევლო სკოლაში. აქედან გადაიყვანეს გიმნაზიაში (1827 წ.), სადაც სამაგალითოდ სწავლობდა, ხოლო ნამეტანი უყვარდა ცელქობა (1832 წ. კიბიდან გადმოვარდა და ორივე ფეხი სამუდამოდ დაიშავა). ლექსების წერა დაიწყო სასწავლებელში ყოფნის დროს. გიმნაზიის გათავების შემდეგ ნ. ბარათაშვილმა მოინდომა სამხედრო სამსახურში შესვლა, მაგრამ კოჭლობისა გამო ეს მოუხერხებელი შეიქმნა მისთვის. მერე უნივერსიტეტში წასვლა უნდოდა, მაგრამ მშობლებმა უარი უთხრეს, რადგან ქონებრივად ძლიერ გაჭირვებულნი იყვნენ. ნ. ბარათაშვილი იძულებული გახდა სამსახურში შესულიყო, ხოლო სამსახურის მადლიერი არ იყო და სხვა საქმეს ეძებდა. 1844 წ. გადაიყვანეს მაზრის უფროსის თანაშემწედ ნახიჩევანში. რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნდა ტფილისში და ითხოვა, რომ გადაეყვანათ თელავში; მისი თხოვნა შეიწყნარეს, მაგრამ მის მოულოდნელად იგი გადავიდა განჯაში, სადაც გადაიცვალა რამდენიმე თვის შემდეგ 1845 წ. 9 ოკტომბერს. 1893 წ. 25 აპრილს ბარათაშვილის ნაშთი გადმოტანილ იქნა განჯიდან ტფილისში და დასაფლავებული დიდუბეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1. შემოღამება მთაწმიდაზე.

ჰოი მთაწმიდავ, მთაო წმიდავ[1]), ადგილნი შენნი,
დამაფიქრელნი, ვერასანი და უდაბურნი,
ვითარ ჰშვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს სალამოს, დაჰშთენ ამოს, ციაგნი ნელნი!

ვითარი მაშინ იდუმლობა დაისადგურებს შენს არე-მარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს, ლამაზს, ველსა ყვავილნი მოჰფენენ ვითა[2]) ტაბლას წმიდასა,
და ვით გუნდრუკს სამადლობელსა, შენდა აღუმევენ სუნნელებასა!

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარს სალამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ცა, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან!
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ, და ჰაერშივე განიბნევიან!

---

1) ვარიანტი: წმინდავ.

2) რეცა.

ჵე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების [1]) საწუთროება!
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა.. ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს [2]), რომ დაშთოს [3]) აქ ამაოება...
მაგრამ ვერ ჰსცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდექ სერზედა, და ცათა მიმართ მზირალს
ტრფობითა,
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმსები ნაპრალთ მდუმარე-
ბითა,
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი ღელეთა შორის აღმოკვნე-
სოდენ
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმე-
ბოდენ!

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვნოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება,
გულ დასურულთა მეგობარო, მთავ დრუბლიანო!

ჰსდუმდა ყოველი მუნ არე-მარე; ბინდი გადეკრა ცისა კა-
მარას,
მოჰსდევს[4]) მთოვარე ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მი-
სა ამარას;
გინახავთ სული, ჯერეთ ყმაწვილი, მხურვალე ლოცვით მიქანცე-
ბული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოვარე, დისკო გადასრით შუქ-
მიბინდული!

---

[1]) მავიწყდება.
[2]) სამყოფთ.
[3]) დაჰშთოს.
[4]) მოსდევს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ გვარი იყო მთაწმინდაზედ შემოღამება!
ჰოი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!
მხოლოდ გული [1]) გრძნობს, თუ ვითარი ჰსძღვენით მას შვებას!

ჰოი სალამოვ მეუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს მწუხარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად![2])
მწუხრი გულისა—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

1836 წ.

[1]) სული.
[2]) განსაქარებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 2. ჴმა იდუმალი.

ვისი ჴმა არის ეს საკვირველი?[1])
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?
რა ვჰსცან პირველად წუთი სოფელი,
დავჰშორე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
ჰსწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის,—

მას აქეთ ჴმა რამ თან ჰსდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!
ცხადად თუ სიზმრად, მე იგი[2]) მარად,
სულ ერთსა მიწრთვნის გულისა ჭირად:

„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,
ვანძლო იპოვნო შენი საშვენი!“
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ,
და მით კაეშანს ვერდა ვიშორებ!

ნუ თუ ჴმა ესე არს ჴმა დევნისა
შეუწყალისა სინიდისისა?..
მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა,
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა!

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მაცდური ჩემი,
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,

---

[1]) საკურველი.

[2]) იგი მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ,
როს ვჰსცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..
1836.

## 3. ფიქრი მტკვრის პირას[1]).

ჩარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად;
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით;
აქა [2]) ყოველი არე მარე იყო მოწყენით:
ნელად მოდუღავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა,
და მის ზვირთებში ჰკრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.
იდაყვ დაყრდნობილ ყურს უგდებ მე მისსა ჩხრიალსა,
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთჳს რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?...
მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთკელ[3]) აღევსოს,
და რაც მიეღოს, ერთკელ[4]) ნატვრით, ისი ეკმაროს?

[1]) პირზედ.
[2]) აქაც.
[3]) ერთხელ.
[4]) ერთხელ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ მეფენი უძლეველნი[1]), რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
ჰშფოთვენ და დრტვინვენ, და იტყვიან: „როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს,“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!. .

თუნდ კეთილ მეფე, როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამამავლობას!...
მაგრამ თუ ერთკელ[2]) სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ ჰსთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს!...
. . . . . . . . . . *)

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან—შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთჳს არა იზრუნვოს!

1837.

---

[1]) უძლეველნიც.

[2]) ერთხელ.

*) აქ ნამდვილშიაც წერტილებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4. საყურე

ვითა ჭეჭელა
არხევს ნელნელა
სჭეტაკს შროშანს, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.
ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
შენის შერხევით,
სიო მობერვით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!
ჰი საყურეო,
გრძნებით ამრეო[1]),
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

1839.

[1]) მრევო.

## 5. ჩ ჩ ვ ი ლ ი.

მიყვარს, მიყვარს, მე ტიკტიკი ჩჩვილის ყრმის,
მიყვარს სმენა უცნაურისა მის კმის,
ოდეს იგი ენითა სასუფევლის
უალერსებს წიაღთა თავის მშობლას!

მის სოფელი უზრუნველობით ჰშვენობს;
გარდა დედის ალერსისას არ რას ჰგრძნობს;
ნებივრობით და ღიმილით სულდგმულობს;
ყოველსავე შეუპოვრად მჭვრეტელობს.

არა ფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას,
არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას;
იგი თავის სანუკველითა შობით
ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით.

იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკე, ვიდრე ჟამი დაგხარის,
ვიდრემდი ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცვნია სოფელი მომღერალი!

1839.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 6. სული ობოლი.

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ ჰსჩივის თავის უთვისტომობას, —
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელადა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ[1]) დაობლებული სული,
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არდარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან, იკრძალვის, არდა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება გულმეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას კლტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა ჰსწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

1839

[1]) ერთჯელ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7. ბედი ქართლისა.

(რამდენიმე ადგილი)

„მეუფეო კეთილო, შენს წმიდას სამყოსთ
შემოგავედრებ ჩემსა სამეფოს!
გულთა-მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე [1]), ჩვენო კელთ-აღმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო!" —

ასე ილოცდა მეფე ირაკლი
ბანაკსა თვისსა გულით მსურვალი.
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი,
მამულისათვის [2]) მეფისა ცრემლი!

ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთთან საომრად [3]);
პატარა კახი აღა-მაჰმად-ხანს
უპირებს შებმას ძლიერს რისხვიანს.

---

[1]) გვეჩქარე.
[2]) მამულისათჳს.
[3]) ქართველთა ჯართა კრწანისის მინდვრად
დაებანაკათ სპარსთა საომრად.

ამ დროს გამოჩნდა [1]) სამხრეთით მტერი.—
ცა მოწმენდილი და მშვენიერი
ზედანათლიდა ბრძოლისა ველსა
და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
განამხნევებდა მამობრივის ჴმით: [2])
„ჰხედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოებს! [3])
საქართველოს დღეს გარდაუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!
დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი;
დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“...

***

დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზარა
და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.
ჴმა ნაღარისა, ჴმა [4]) ეს ბრძოლისა
ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა!
მხდალსა განამხნევს, მხნეს განაღვიძებს
და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს! [5])

---

1) აღმოჩნდა. 2) ხმით. 3) უჰჯულოება. 4) ხმა.

5) მხდალო, განგამხნევს, მხნევ, განგაღვიძებს
და შენც, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნათ მწარე, ძლიერი ომი;
ვითა ნადირსა მშიერი ღომი,
ეჰვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი,
და მტკვარსა შერთეს სისხლასა ღვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი;
თამაზ, ენისელთ მოურავის ძე,
და იოანნე კართ აბაშიძე[1])
განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ღვაწლი უოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას; --
მაინც ვერ ჰხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
რა ნახეს ქართველთ, გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიგდეცეს ქუდები თურმე,
კრმალს[2]) კბილი იკრეს მამაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად!
ბინდმა განჰყარა[3]) მებრძოლნი მტერნი.
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი...

***

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.

---

[1]) სომხეთის გმირნი, ყაფლანის შვილნი,
და მათ მომარცხნედ ბარათაშვილნი.
[2]) ხრმალს. [3]) გაჰყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჵი ნაპირნო,[1]) არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!
როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს—შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შეჰსძახებს,
არაგვო, მაგ შენს გამწვანებულს მთებს,
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთჳს აღარ დაღონდეს!...

***

„აბა რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო*)?
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო:
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ჴელმწიფე უჴისთ ბძენი და ქველი,
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი—სარწმუნოება,—
მას მსურს, რომ მივცე[2]) მემკვიდრეობა,
და მან მოსცეს[3]) ქართლს კეთილ-დღეობა!"

---

[1]) ადგილნო. [2]) მას მინდა მივცე. [3]) მოჰსცეს.
*) მეფე ერეკლე ეკითხება სოლომ ან ლეონიძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამგონი ჩვენი მსაჯული
უჭვრეტდა მეფეს განცვიფრებული:
მას არ ჰსჯეროდა, რომ ირაკლის გულს
ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს.
„რასა მიბრძანებ! ჰკადრა მან მეფეს,
ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ ჴმას[1]) ქართველთა,
ესდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება!“
„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ჴელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა ჰსჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს; [2])
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი;
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ჳით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იდუმალთ!

---

[1]) ხმას.

[2]) საკელმწიფოსა ერთობა სჯულის
არა რას არგებს, ოდეს მის შორის
თვისება ერთა სხვა-და-სხვაობდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ირაკლის სახსენებელი
ვინღა ახსენოს აწ საქებელი?
ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ,
შენგან-კი მაგას ნუ გაგვაგონებ,
და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს,
მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს"...[1])

***

დილაზე ადრე მოვალს მსაჯული
ქსნის ხეობაში, დაფიქრებული:
ვიდრემდის იყო შიშიანობა,
მას აქ ესახლა თავის სახლობა,
და მომავალმა აწ ქალაქისკენ,
გამოიარა თავის სახლისკენ.
მეფის ჰაზრთაგან სულით ღელვილი,
ჰზრახვიდა გულში მამულის შვილი:
„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მოჰმადლებ[2]) ყოვლთა უფლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ასე[3]) განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფევ, ვის მოგცა ნება —
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,

---

[1]) და მერე ვინც ვერ განაგოს ქართლი,
მაშინ მან უწყის, რაც ჰყოს კეთილი.
[2]) მომადლებ. [3]) ისე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისდევდე შენსა გულის კვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულისთქმა მეფის! ..“ ¹)

***

ამ ფიქრში იყო მსაჯული, oდეს
მოადგა თავის სახლისა არეს.
წინ მოეგება მას თავის ცოლი,
სათნო სოფიო, სულისა ტოლი:
ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
მშვენიერება, გულ-კეთილობა.
რა დაინახა მან თავის ქმარი,
სახე შეცვლილი, მონაწყენარი,
ამბავი ჰკითხა მეფის ირაკლისა,—
ასე საყვარელ იყო ყოვლისა!

„ვეჭვობ, სოფიო, რომე ირაკლი
ქართველებზედა იყოს გულნაკლი;
მას ზედ ეტყობა, რომ მისი სული
ძლიერად არის აღელვებული!
მწარედ უპირებს ბატონი დასჯას ²)
თავის შვილების ამა ურჩებას:
ვეჭვობ, რომ იგი სამეფოს ქართლის

¹) მეფის გულის თქმა ერსა ეკუთვნის.
²) დაჰსჯას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძლევს საფარს ქვეშ რუსთა კელმწიფის.
მაშინ ჟუჟრე ჩვენს დედაკაცებს,
როს საცხოვრებლად დიდკაცთა ცოლებს
პეტრეს ქალაქში გარდაასახლვენ!
მაშინ, სოფიო, რაღა გინდათ თქვენ?
კელმწიფეს ჰპოებთ მამად კეთილად
და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
არ მოგაკლდებათ თავისუფლება,
განცხრომილება, ფუფუნებულება,
მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!
ვერ გაიგონებთ მუნ კმასა [1]) მტერის.
მრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად
ბანოვანთათჳს გულგასართობლად:
მაშინ ვისაღა მოესურვება,
ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება! —"

„უწინამც დღე-კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა კელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაში დატყვევებული!
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
ჭირსაც ვით ლხინსა ერთგვარ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?

---

[1]) ხმასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მამულში მას გაჭირება
სხვა და სხვა რიგად ენუგეშება:
მუნ სულსა სული თვისად შიაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის!“...

მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალეპულს,
და აწ, რა ნახა ცოლი ამ ჰაზრით,
გარდაეხვია მას მხურვალებით.—

ჰი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სასსოვარნო!
რა იქმნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინდა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული, ახლა თქვენგვარი?[1])
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას[2]) გვავნებს უცხო ტომობა?...

1839 წ.

[1]) თქვენგვარი. [2]) რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 8. რად ჰყვედრი კაცსა.

რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?
თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას:
რომ არ გემჰსჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა.—
ჰგავს არ პასუხს ჰსცემ შენ მას სულით მშვენიერითა.

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ სორციელების,
და ვით ყვავილი თავის დროზე მჰსწრაფლად დაჭკნების;
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამჰსჭვალები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!

მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,
და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გრწამს, არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასურველი!
მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება,
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება!

1842.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 9. მირბის, მიმაფრენს...

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი,
გაჰსწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე ჰსწორთა და მეგობარსა;
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა, —
სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ[1]) იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში [2]), ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,

---

[1]) მუნ.

[2]) მშობელს მიწაში.

ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის, 1)
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას მომაყრის!
სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა, დამეცემიან ციურნი ცვარნი;
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სვავნი მყივარნი!
გაჰსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!
დაე მოვჰკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ 2) შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის, კვეთება! 3)
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე*) თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

---

1) ნუ დამიტირებს სატრფო გულისა, ნუ დამეცემის ცრემლი მწუხარის.—

2) არ.

3) ცუდაფ ხომ მაინც არ ჩაივლის ჩემის სულისა ესე კვეთება.

*) ჰუნე—ცხენი.

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

1842.

## 10. სულო ბოროტო!

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად? [2]
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ [3] უმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, უმაწვილ კაცობას?
თითქოს მაძლევდი [4] ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!

მარქვი, რა იქმნენ საკურველნი კსე [5] აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სულო აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები, [6]
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

---

[1] განსამწარად. [2] მამიკალ. [3] მამცემდი. [4] შენნი.
[5] სად ხარ აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი [1]) ჩემთ გულის თქმათა!
მას აქეთ არის, დაუკარგე მშვიდობა სულსა,
და ვერც დელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჳი [2]) მაცდურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნო, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაჲ მას, ვისაცა მოჰხვდეს კელი შენი მსახვრალი!

1843.

---

1) ბრმად ვუმსხვერპლიდი, მივანდობდი.

2) ვ.



# III. გიორგი ერისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი ერისთავი

დაიბადა 1811 წ.—მამა მისი დავითი იყო წარჩინებული თავადი, ქართლის მებატონე. დედა მისი, ქობულიშვილის ქალი, ზედმიწევნით მცოდნე იყო ქართულის ენისა და მწიგნობრობისა. 10 წლამდის გიორგი სახლში იზრდებოდა; ათის წლისა მშობლებმა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს. მეხუთე კლასში რომ იყო, იგი და ერთი მისი ბიძაშვილი ბიძამ, მიტროპოლიტმა ვარლაამმა მოსკოვში დაიბარა, მიაბარა იქ კეროძო პანსიონში. 1828 წ. გიორგი ისევ საქართველოში დაბრუნდა. რამდენსამე ხანს უსაქმოდ იყო, ხოლო მერე შევიდა სამსახურში ტფილისის გუბერნატორთან. 1830 წლებში გ. ერისთავი მონაწილეობას იღებდა რუსეთის წინააღმდეგ შედგენილ შეთქმულობაში, რისთვისაც 13 თვეს დაპატიმრებული იყო და მერე-კი 9-იანვარს 1834 წ. იგი გაგზავნეს ვილნოში ჯარის კაცად. ოთხი წელიწადი და შვიდი თვე იყო გიორგი უცხოეთში და მხოლოდ 1838 წ. 25 აგვისტოს დაბრუნდა სამშობლო ქვეყანაში და შეუდგა მწერლობას. პირველი მისი ვრცელი პოეტიური ნაწარმოები იყო პოემა „შეშლილი“, რომელსაც მოჰყვა „გაყრა“, „დავა“ და სხ.

1849 წ. გ. ერისთავმა საქართველოს მთავარ-მმართებლის ვორონცოვის დახმარებით შეადგინა ქართული დასი და 1850 წ. 2 იანვარს მისი ხელმძღვანელობით გაიმართა პირველი ქართული წარმოდგენა.

ქართული თეატრის დაარსებას ზედ მოჰყვა ქართულის ჟურნალის „ცისკრის“ დაარსება—გიორ. ერისთავის მიერ. „ცისკრის“ პირველი ნომერი გამოვიდა იანვარში 1852. საუბედუროდ 1853 წ. დეკემბერში ჟურნალის გამოცემა შეჩერდა ხელის მომწერთა რიცხვის სიმცირისა გამო. 1855 წ. გიორგიმ თეატრსაც მიანება თავი და გადასახლდა სოფელში, საიდანაც ათასში ერთხელ თუ ჩამოვიდოდა ქალაქში. გარდაიცვალა გორში 9 სექტ. 1864 წ.

## 1. ყაბახისადმი.

ჵი, მოედანო, მიყვარდა მე ჟამს გაზაფხულის
მიმოსვლა შენზედ, დავსტკბებოდი წმინდის ჰაერით,
შენიდგან ვჭვრეტდი მჯდომარესა სატრფოსა გულის,
სეირნობაში დამათრობდი ლეილას მზერით.

ოდეს რაზედმე, ან რისთვისმე, რა ვჭმუნვარებდი!
შენზედ სეირნით მეის კაეშანს განვიქარვებდი,
ვით გრძნობის სარკე, ამაო სოფელს დამანახვებდი,
ვითა მეგობარს, ხვაშიადს გულის შენ გარწმუნებდი!

შენსა პირზედა ვკითხულობდი დროთა ძველთ წარსულთ,
შენზედ ჰსწერია მოთხრობანი გმირთა დიდებულთ,
შენ შთამბერვიდი ჩემსა შორის ივერთა ტრფობას,
და ჩანგზედ დაკვრით დავიწყებდი მამულის მკობას.

მითხარ, ხომ ჩემებრ შენცა დროით არ იქმენ ცვლილი?
კვალად ჭაბუკნი შენზედ ჰუნეთ ხომ ახტუნებენ?
მარქვი, ვინ არის შენი გმირი ტრფობით შეშლილი?
ლეილას თვალნი ნეტარ თუ ვის აწ ეძიებენ?

დახშული კარი მამულისა როს განმეღების,
რომე ერთ-გზისცა კვლავ მეღირსოს შენზედანვე სვლა!
თუ მოაჯირით ლეილაცა განმიღიმდების—
უტევა მოვკვდე, შენ საშუალ მეღირსოს დაფვლა.

1836 წ. ლიტვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2. უცხო ქვეყნის კაცს.

მოვედ, ჭაბუკო, რისთვის ოხრავ, უცხო ქვეყანის,
და ჭმუნვა გულის გულისაგან გარდაიყარე,
იგემე სიტკბო მხიარულის მამულის ჩვენის,
რათ ხარ შეჭმუხვნილ, გირჩევთ, იყო მარად მღიმარე.
გიწვევთ ახალნი მეგობარნი, ბედით ჰოვნილნი,
რომ შესვა ღვინო წინდად ჩვენის მეგობრობისა.
შენიშნე, ქალნი ვით არიან შენზედ ღმობილნი,
და თვალთა მათში წარიკითხე წვევნა ტრფობისა!
ნუ უკვე მათი ზეციური მშვენიერება,
მათი ალერსი, სამოთხებრივ ღიმილი ტკბილი
ვერ შემძლებლობენ, განაქარვონ ეგ ჭმუნვარება,
რომელიც შენს გულს ეგრეთ სიღრმით არს დამარხული?
—„სიღრმითა გულით გრძნობიულით ვარ მადლობელი
ჩემის ესრეთის ალერსითა მიღებისათვის,
მაგრამ არ ძალ-მიძს, დავივიწყო მხარე მშობელი
და სიხარულად მიმაჩნია, ვიტირო მისთვის!
„სად დავიბადე, სად აღვიზარდე, სად ვიყავ ჩვილი,
სად სიჭაბუკის განვატარე დღენი ნეტარნი,
სადა მსუროდა, მომეწყვიტა ტრფობის ყვავილი,
გლახ მის მხარისთვის მეფრქვევიან ცრემლნი მდუღარნი“!

1835 წ. ქ. ვილნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3. თ. სვიმონ მაჩაბელს

ბედმან კვალად, ძმაო, ხშული განმიღო კარი,
მოვედი, მნახე მე, მოყვასი და მეგობარი,
მსურის მოხვევნა: გარდაკოცნა წვერის ჭაღარის;
ექვსის წლის უსმენს შენის ენის მოჭიკჭიკარის,
მშიის, ვით მომუბარს, მოვისმინო სმა შენი ტკბილი;
მოგელი ესრედ, ვით მიჯნური ტრფობით შეშლილი,
ნუღარ იყოვნი, მოისწრაფე, ნახვით მახარე;
მარილ მოყრილის შენის ენით მო, მახარსარე!

1838 წ. არცევს.

## 4. ფიქრი ყმაწვილის ქალისა.

მართლა მითხრა დედამა, რათ მინდა ბეგლარ ქმარად:
იმას არ შეუძლიან ცხოვრება რუსულ გვარად!
მე შევირთამ ისეთს ქმარს, იყოს ჯერ მაიორი,
ლამაზი და მდიდარი, არ ჰყვანდეს თანა ჰსწორი.
თვეში ორჯელ მდიდრულსა ვაკეთებდე ბალებსა,
მერე ხუთშაბათობით ვპატიჟობდე ქალებსა;
დილით ფაიტონითა ყოველთვის „დავგულაობდე“,
საღამოს კავალერებით უნდა ვკავალკადობდე!
ოხ, რა რიგად მექნება „გოსტინა“ გაწყობილი!
ატლასის „ზანავესკით“ საწოლი შემკობილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ოთახი იქნება უცხო „სპალნა“ და კრილი,
მაგრამ ამ სალოგინეს აქ არ აქვს ადგილი,
მეჯავრება, რა ვნახავ ფარდა ჩამოფარებულს,
თვალში მეჩოთირება და აწუხებს რაღაც გულს!
თუ ღმერთმა აღმისრულა ჩემი ესე ფიქრები,
მაშინ ნახვენ, თუ რა ვარ, ან როგორ ვედირები,
თხუთმეტს მაისს რა რიგათ ჩავიფრანცუზ-კადრილებ;
მერე მაქვს მოდის ფერი, ამით გულსა ვიგრილებ!
—ერთხელ ასე ჰფიქრობდა დილით უმაწვილი ქალი,
და სარკეში ეჭირა გაშტერებული თვალი.
თექვსმეტს მაისს ეს ქალი ვნახე ნატანციები,
იწვა ქვეშ-საგებშია, როგორც რომ ნაციები;
ვინ მიხვდება, რად არის ესე გაყვითლებული?
იქნებ, წუხელ კადრილში დარჩა გულ დაკლებული
ან იმისთვისა ჰსწუხდეს, არ უსრულდა ფიქრები?
გუშინ არ მოეწონნენ, ვინც იყვნენ აფიცრები.
რა ვქნათ, ამ ქალისათვის სად ვპოვოთ ლოველასი,
რომ აგება, შეიქმნას ის მაინც მისი ფასი!..

***

გავიდა სამი წელი, ერთხელ კახეთს მივედი,
რაღაც ჩემი საქმისთვის, აკი იმ ქალსა შევხვდი,
საყდრიდან მოვიდოდა, იყო ჩადრ წამოსხმული.
სხვა ქალიც გვერთ მოსდევდა უმარილო პირ წასმული,
წინ ქმარი მიუძღოდა პაჭიჭ ქოშებიანი,
მაღალი, ვით აქლემი, ჩემებრ დიდ ცხვირიანი.
გულმა ვერ მომისვენა, უკან მივყე სახლამდის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გოსტინა“ დავინახე, იყო გაუღესელი,
ფანჯარას ფარდის წილად ეფარა სამოსელი,
ჩვენი გაზდილი ქალი დასჯდა ტახტზედ ქართულად.
მაგრამ მყისვე დაფიქრდა, იწყო მღერა რუსულად.

1839 წ. ქ. ტფილისს.

## 5. თეოდოსია მირეცკას.

მითხარ, ტურფავ, რად უჩივი,
რადა ჰკვედრი სიყვარულსა?
ნუ არწმუნებ, ნუ აშინებ, ამ გვარ აზრით ჩემსა გულსა,
ჯერ შენ აგრე უმაწვილი ხარ, არა მჯერა, შენი გული
უდროოდა ვითომ იყოს ტრფობისაგან დაჩაგრული;
სიჭაბუკე შენი მთვარეს ჯერეთ ახალს ემსგავსების,
სიტურფე და ელვარება ყოველს ჟამსა ემატების.
გრწმენის ჩემი, მზისა სხივიც მაშინ ბნელად გვეჩვენების,
თუ გულშია ტრფობის ალი მცირეც არის, არ გვენთების.
თუ შენ სხვათა ცრემლთა ჭვრეტა აგრე მეტად შეგაწუხებს,
თუ სხვათ ჭმუნვა, ანუ ჭირი ეგდენ ცრემლსა გაფრქვევინებს,
მაშა რისთვის ეგ მაღალი, ეგ უმანკო შენი სული
არა ეძებს, რომ იპოვოს მისი მსგავსი ჩვილი გული?!
მაგრამ დღეს-კი გამოვიცან შენი ეგე მჭმუნვარება:
გულს სურს ტრფობა და ეშინის,— ეს არს მისი მღელვარება.

გული შენი არის ჯერეთ გაუშლელი ტურფა ვარდი,
ელის მას ჟამს, ოდეს მზისა მას დახედავს შარავანდი.
მოვა ჟამი, შენც გეწვევა ტრფიალისა მშვენი თვალი,
აღარ ჰყვედრო სიყვარულსა, რომ აღგეგზვნის ტრფობის ალი.

1840 წ. პოლშაში.

## 6. გ უ ლ ს.

საბრალო გულო, რად მღელვარებ ტრფობისა ვნებით,
სულს რათ უშფოთებ, დაუტევე, ჰყავ განსვენებით,
რად არა უსმენ შენსა მრჩეველს ცივსა გონებას?
ნუ ელი ტრფობას, მისთა ბაგეთ ზედ დაკონებას.
სულო, ნუ უსმენ, შემცდარია საწყალი გული,
ბევრჯელ შეშლილა, ვნებათაგან არს დაჩაგრული,
ამა სოფელსა, უგრძნობელსა, ხარ დამხობილი,
შენთვის სხვა სული შეპასუხედ არ არს შობილი.
ავი სიყრმიდგან შეჩვეულ ხარ ოხვრას და ჭმუნვას!
გულს ნუ აჰყვები,—ტრფობისაგან ვერვინ გაჰკურნავს.
რით ვერ მიხვდი, ვისდამიცა ხარ შემსჭვალული:
არის ამაყი, უგრძნობარი, არა აქვს გული.
მაშ ვით სადაფში მარგარიტი არის დასშული,
იყავ შენც ეგრეთ უგძნობლობის ჯაჭვით დაბმული,
ნუ ელი დარსა ანუ ტურფათ თვალთ მაქებართა,
ჰსჯექ დარაზული, ვიდრე ზეცით არ იღებ კართა.

1845 წ. მეჯვრისხევს.

## 7. თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებაზედ.

ჰოი, ჭაბუკო, ახლად სოფელს ქნინ გადაშლილო,
ყოვლის კეთილით აღსავსეო მამულის შვილო!
რა სოფელს შესვედ, სათნოება ისხივ-ცისკარე,
შენ მშობელს მამულს რად შემოსწყვერ ობლად დაგვყარე?
ნუთუ სოფლისა მდელკარება ვერ შეიწყნარე?
ანუ, ანგელოსთ შეიშურეს და აღგაფრინეს,
თვისთა გუნდ შიგან დაგამკვიდრეს, ფრთანი შეგასხეს?
რა მიგვეფარე, ცას შევსქერი; რა დღე ბნელდების,
შუქურებ, ტატო*) რომელ ვარსკვლავად გამობრწყინდების!
თითქო გხედავ შენ მთარეულსა რძისა გზაზედან,
ანგელოსთ დასნი გესვევიან, ყურს დაგიგდებენ,
მერე ცის სივრცეს ლაჟვარდოვანს განავარდებენ!
ვგონებ, ჭმუნვითა ქვე დამზერი ჩვენსა ცხოვრებას,
ჰხედავ რა შენ ძმათ და მათ შორის შურსა, მტერობას.
მაგრამ შეგვინდონ, შეგვავედრე ცისა მცხოვრებთა,
და ნუ მოგვკითხვენ სოფლიურსა ჩვენთა ცოდვებთა.

1852 წ.

*) ტატოს ეძახდენ ნ. ბარათაშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 8. შეშლილი.

### ა. სურათი მეხუთე პირველი ნაწილიდან.

ბეგლარი ზის მაღლობ ალაგს, კაკალ ქვეშ. გაზაფხულის დილა არის. ოცნებობს.

ბეგლარ.

კადევ მოხველი, გაზაფხულო, ჩვენო სტუმარო,
ყოველთა კაცთა სიქადულო, გულთ მომღიმარო!
უკვე გიპყრიეს სიხარულის ფიალა ხელით
და მოგვეგებ, გამოვალთ რა ზამთარის ბნელით!
შრომა დასრულდა, განგვიძღა თვალი,
ვხედავ, ქვეყანა იქმნა ახალი:
აგერ მსოფლიო იმოსა მწვანით,
ტყეთ სიხარულით იმოსეს ტანით;
ფრინველთა იწყეს თვისებრი სტვენა,
ყველას უხარის, ვისაც აქვს ენა!
მაშ მე რისთვის, შორის ამა სიხარულების,
ბინდი ჭმუნვისა გულსა რისთვის მომეფინების?
იცით, საბრალო გულსა ჩემსა რა ეწყსება?
ვხედავ, სოფელი და ბუნება სულ ჭაბუკდება
და მე გვირგვინი—ღვთისა ქმნილების—
ვბერდები, ვკვდები და დღე მაკლდების,
არ მაქვს უფლება განცხოველების,
მმოსია კაბა ტანთ განხრწნილების.

(იყურება აქეთ-იქით. ოცნებობს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიშ ამ მშვენიერს კეთილსა ჭვარს!
ნეტარ ვინცა შენ კალმითა დაგწერს!
შეხედეთ ცასა ლაჟვარდოვანსა,
წმინდას, მშვენიერს, ქალწულოვანსა!
უყურეთ წყალსა მოკამკამალსა
მჩქეფრად; მწუხარეს გული მიხარეს
ხუჭუჭთა ტყეთა, ზურმუხტებრ ველთა...
აჰა ყურს ატკბობს ბულბულის სტვენა,
თითქო მე მესმის ფრინველთა ენა;
აი კაკალზედ ვხედამ მსხდომს გვრიტთა,—
როგორ იხარეს ერთათ შეურითა!
მესმის, ტორუა უცხოთ იმღერის,
ამ ნანგრევიდამ ბუ გამობღვერის...

(ოცნებობს).

მოდით, მერცხალნო, მომეცით ფრთენი,
მიწით შევიქმნე აღმა საფრენი!
აღვფრინდე მაღლა და კვალად მაღლა,
რომ ვერ ვხედვიდე ქვეყანას დაბლა!

გავშალო ფრთენი
სანავარდენი,
ვნახო რა მზისა
შარავანდედნი;
მერე რძის გზასა,
ვარსკვლავთა კვალსა,
შევუდგბოდე
მნათობთა სვლასა!

მთვარესა ვრცელსა,
დამესა ბნელსა,
განვჩხრეკდე მასში
საცხოვრებელსა!...

გარნადა ვაჰ! მე ღვთისა ქმნილი,
ვარ ამა მიწას მაგრა მიკრული!
ვკვირობ, რად მომცა, გონება, ნება,
თუ რომ საკვდილით სრულ დასრულდება!
ჩვენი იმედი და ჩვენი ბედი,
ასე სიზმარებრ თუმცა განქრება,
სიცოცხლის სიმი უეცრად ჰსწყდება,
—კაცი ამისთვის რად იბადება?...
(დაფიქრდება).

მაგრამ რა უჭვრეტ მზესა, მთვარესა,
ამ მნათობთა ვარსკვლავთ, ცის სამყაროსა,
იდუმალ მეტყვის მე სინიდისი,
სხვა სოფლისათვის არს სამზადისი...

ბ. მეორე სურათი მეორე ნაწილიდან.

შემოვა შეშლილი ხალაში, თეთრის კაბით, თმა გაშლილი, ფერ მიხდილი, ხელში უჭირავს ბოხჩა და სარკე; მოზდევენ ყმაწვილი ქალები, ავა ტახტზედ, გაშლის ბოხჩას, დაიდგამს სარკეს.

შეშლილი, მარიამ და კატატო.

შეშლილი.

მოდი, მაშიკო, დამსურე თავი,
ახალი მოდურად დამიწან კავი,
თორემ სატაა: მომივა მღვდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(კატატოს)

წადი, ჩაიცვი, ნეტა რას ელი.

(კატატო გავა. თავს რომ დაიხურავს, ჩაიხედავს სარკეში. წამოხტება, მოიგლეჯს თავსახურავსა, თამაშობს მაზურკას და იმღერის მაზურკის ხმასა).

მოვა ჩემი საყვარელი,
მე დავხვდები თავ შიშველი.
ლა, ლა, ლა, ლა.
თავშიშველი რომ მნახვიდა,
მაშინვე გადამკოცნიდა.
ლა, ლა, ლა, ლა.

(ტირილით).

დედამ რათ გამამჭრა ყელი,
რათ წამართვა საყვარელი,
რისთვისა მყო დანიშნული?

(დაფიქრებული)

შევიქმენ შეყვარებული.
აი, მაშიკო, აღარ მაქვს გული.
შენც გმართებს, იყო გაფრთხილებული.

(ფიქრის შემდგომ)

ერთხელ, მახსოვს მე, იყო საღამო,
ახ! ტკბილი, ტკბილი, ჩემთვის საამო,—
ერთად ვისხედით; წიგნს ვკითხებდი,
მე სიხარბითა მას ყურს ვუგდებდი.
ის წიგნი იყო რაღაც ტრფობისა,
ქალთა და ყრმათა მიჯნურობისა.
არ მახსოვს, როგორ დიდხანს იკითხა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას დაფიქრდით, ღიმილით მკითხა.
ამოვიოხრე... მან გამოიცნა
ჩემი ფიქრები... დამიწყო კოცნა.
ძის მეტი არა გამიგია რა,

(გულზედ აჩვენებს)

რომე იმ კოცნამ აქ გაიარა.
ასე ტკბილ იყო ის დაკოცნება,
რომე წამერთო სრულად გონება!
დიდხანს ვიყავი სიტკბოთი მთვრალი,
მე სატრფომან მაჰკურა წყალი.

(იმღერის)

თვალი ავიხილე
და რა ვიხილე?
აღარ მქონდა გული,
იყო მოპარული,
თვისთან შეინახა,
გულში დაიმარხა!

(ღიმილით)

ამას დაუბამს ახლა ბორკილით.

(თითით ანიშნებს)

შენც გმართებს, მაშავ, იყო სიფრთხილით.

მ ა შ ა.

კარგი, გენაცვა, რა სათქმელია,
გული მანდვე გაქვს, ისევ მთელია;
განა ბორკილით გული დაიბმის?
ჩემს სიცოცხლეში პირველად მესმის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშლილი.

ამისთვის, რომა არ გუვარები,
შენ ტკბილი ტუჩი არ გკარება.

(იმღერის)

მეც მაგას ვჩივი,
რომე ხარ ცივი:
არ გრძნობ ამ ცეცხლსა!

(ღიმილით)

შენმა გაზრდამა, არ ვარ შემცდარი,
ჯერ შენ სშული გაქვს გრძნობისა კარი;
მოვა დრო, შენცა კარი გეღება,
ტრფობისა ცეცხლი შენც აღგეგზნება.

(იმღერის)

გული გიწყებს ძგერასა,
ჩემებრ იწყებ მღერასა!
მაგრამ უფრთხილდი ამ გარყვნილ სოფელს,—
არ ავაწრინო შენ შენსა მშობელს!
არ გყიდონ, ვითა ნივთი,
ანუ ბაზრისა ჩითი.
ვინ გითხრა, ტრფობა არის სირცხვილი,
ის არს სულელი და ცუდათ ზრდილი!
შენ არ კითხულობ, ქალო, ბრძნულ წიგნებს
და მისთვის ტრფობა გულით გაშინებს.
მეც აგრე შენებრ ადრე ვგონებდი,
ვინემ გონებით გავნათლდებოდი!
მაგრამ მე ეხლა ტრფობით ვამაყობ!
თუ არ მივხვდები, თავსა დავიმხობ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

(აჩვენებს, რომ დაჯდეს)

დამიგდე ყური, მე რას გასწავლი,
ამისთვის, რომ ხარ უმაწვილი ქალი.
ტრფობა არს ქალთა ბედი და წერა!
ეს წმინდა გრძნობა ღმერთმან შთაგვბერა.
შეგვქმნა ტურფანი, ლბილნი გვცა გულნი
და მამა კაცთან გვყო გადაბმულნი;
მათ ჯაჭვი ხელთა ჩვენი ცხოვრების
მისცა და ვართ სრულ მათის მონების.
კაცთა აქვს სრულად სოფლის უფლება,
ტახტი პატივი და განდიდება,
ტრფობა არს ქალთა დანიშნულება,
სხვა ამა სოფელს რა გვეგულება!..
ნეტარ მას, ვინც ჯაჭვსა თვით ტრფობის
ჰპოვებს და გულით, სულით მიჰყვების!
იგრძენით მაშინ ქალის ცხოვრება,
თუ საქმრო თვისი არ ეყვარება,
თუ არ იტვირთა სოფლის ყივნება,—
საბრალო ქალი უდროთ დაჭკნება.
ეს არ უწყიან ჩვენთა მშობელთა,
არ ვებრალებით მათ უგრძნობელთა!
რა თითონ კაცსა მოიწონებენ,
ჩვენც გვეყვარება, ასე ჰგონებენ.

(ამ დროს შემოფრინდება ჩიტი, შეშლილი უყურებს,
ფიქრობს და შემდგომ ფიქრისა)

რისთვის არა ვარ მე ეხლა ჩიტი,
უ ტოროყა და ანუ გვრიტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მე მაღლა ავფრინდებოდი,
ჩემ საყვარელსა თავს ვევლებოდი,
ყოველ დღე სატრფოს ჩემსას უმზერდი,
ტკბილისა ხმითა მაღლა დავმღერდი!
იქნებ, ჩემსა ხმას გაიგონებდა,
ადრინდელ ტრფობას მოიგონებდა,
გულის გრძნობილით შემიბრალებდა
და ისევ ისე შემიყვარებდა!
მაგრამ იმისი არ არის ბრალი...

(ტირის)

ახ! დედა ჩემო, რისთვის მომკალი!
მე ვერ ვიჩივლებ, იმას უყვარდი,
როგორც ბულბულსა მაისის ვარდი.

(შევა შინ, ქალები შეჰყვებიან)



# IV. გრიგოლ ორბელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გრიგოლ ორბელიანი.

გრ. ორბელიანი დაიბადა 1800 წელს. 1816 სამსახურში შევიდა იუნკრად. 1821 წ. მიიღო პირველი ჩინი; მონაწილეობას იღებდა რუს-ოსმალოს ომში და 1829 წ. დაჯილდოვებული იქნა ვლადიმერის ჯვარით. 1831—1839 წ. მსახურობდა ჯარში რუსეთის შიდა გუბერნიებში, მერე სამშობლოში დაბრუნდა. 1848 წ. მიიღო გენერალ-მაიორობა. 1857 წ. დაინიშნა ხელმწიფის გენერალ-ადიუტანტად. 1858 წ. მიიღო მთავარ-მართებლის რჩევის თავმჯდომარეობა. 1860 წ. დაინიშნა ტფილისის გენერალ-გუბენატორად. შემდეგ წელს მიიღო ინფანტერიის გენერლობა. 1866 წ. დაინიშნა სახელმწიფო საბჭო წევრად. 1858—66 წ. მთავარ-მართებლის სხვაგან მყოფობის დროს ასრულებდა მთავარ-სარდლობას კავკასის ჯარისას. გარდაიცვალა 21 მარტს 1883 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1. ღამე.

მთოვარე, აშიკთ მოწამე, სიამით ნათელს მოჰფენდა,
ნიავი სუნნელთ ყვავილთგან ჰკრეფდა და ქროლით მოჰ-
ბერდა;
ბულბულიც ბუჩქში დამალვით ვარდსა გალობით შესტროდა,
და მით გულს ცეცხლი ტრფობისა უმეტეს აღმეგზნებოდა.

ვაზნი ფურცელთა გარდაშლით ჩემზედ კამარას შეჰსდგმიდნენ.
მუნ სული ჩემი და გული ეშხისა მახით დაებნენ..
ნელიად წამთ სვლა, ლოდინი მოუთმენელსა მტანჯვიდნენ
და, ვით ჯადოთი მიზიდულ, თჳალნი ერთ მხარეს უმზერდნენ.

ეს რამ იელვა დ: განჰქრა, ნუ თუ მაცთური ოცნება?
რადა შეირყა ვარდთ ბუჩქი, გული რად ესრედ მიკვდება?..
ვიდრე თჳალთ ნახეს, სულმან ჰსცნა საყჳარლის მოახლოება;
ჯერ თჳალთ ძლივ ნახეს და მე კი მასა დაუწყე ბაგება...

ჩჳენ ორთა ჰაზრნი, თჳთ სულნი, ერთად შეერთდნენ, შე-
დუღდნენ,
და სიტკბოების ზღჳას შინა გრძნობათ დამთჳრალთან შთაე-
ფლნენ!
ვეღარა ვჰგრძნობდით გულ-ძგერას, ვერცაღას თჳალნი ჰხედვი-
დნენ;
უენოდ ქმნილნი, უგონოდ, განვედით ამა სოფლით ჩჳენ!...

სადა ვიყავით მაშინა, რომელსა სასურველს მხარეს?
ცნობა გვეკარგა წამს, მარა სამოთხე იყო წამი ეს!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰფრინვიდნენ წამნი, და ჩუჳენ კი მათ ფრენა არა გვსმენიეს:
ესრედ გონება მარადის ტრფო ის ალს აუხოციეს!

მთოვარე, აშიკთ მოწამე, სიამოვნებით დაგჳმზერდა,
ნიავი სუნნელთ ყვავილთგან ჰკრებდა და ქროლით მოგჳბერდა;
ბულბულიც ბუჩქში დამალვით ვარდსა გალობით შეჰსტრფოდა,
და მით გულს ცეცხლი ტრფობისა უმეტეს აღგვეგზნებოდა.

მაშინ ვჰსცან ჟამნი სამოთხის, რომ ამა სოფელს არიან!
მარამ, ახ, ჟამნი ეს ტკბილნი ესრედ მალიად რად ჰრბიან,
გულისა სურვილთ დაცსრომას რომ არ სრულიად გვაცლიან?
ეს არს საწუხარ, რომ ბოლო თჳთ სიხარულსაც ჰქონიან.

ცისკარმან აღმოსავალით ჟამი განყრისა გვიჩვენა:
მალიად წარსვლა მის ღამის ვიგრძენით მხოლოდ მაშინა.
დღისა დავჰსწყევლე ნათელი, რომ ურთი-ერთი გაგჳყარნა,
და განშორების ბაგება ტრფობის ბეჭედად შეგვექმნა!

ნოვგოროდი, 1832 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2. იარალის.

ჩემო იარალი! ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს;
ჩჳჱნებურადა,
ძველებურადა,
ვჰსჳამდეთ,
ვიძახდეთ:
იარი-არალი!

ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დასტრიალებდეს,
ყნოსვა დამტკბარი მის სუნით,
მადასა განგვიღვიძებდეს.

კახურის ღვინით აღვსილნი
აზარფეშაცა ჴელს გვეპყრას;
მოთალი, თევზი, მწვანილი
აგვიჭრელებდენ წინ სუფრას.

ცა მშვენიერი,
ცა მშობლიური,
მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს,
გაცხელებულთა
ღვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს...
შენ მომითხრობდე,
მე ყრმა გისმენდე,
გამოუცდელი — მოხუცებულსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვით ივერნი,
ლომ-გულნი გმირნი,
ჰბრძოდნენ, ჰსცხოვრობდნენ დროსა წარსულსა.
გისმენდე, თუ ვით მდევარის კვალზე
ჭაბუკნი მკლავით აღტაცებულნი,
მტერთ საძიებლად დაცემად მათზე
შეგროვდებოდნენ, წამს შეჭურვილნი.
ვაი მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,
ანუ ტყეთ სიღრმე არ დაჰფარვიდნენ,
ვითა, შურდულებრ, ტრედთ შავარდენი,
მიესეოდნენ და შემუსვრიდნენ!..
დავნატრი მათ, ვინც თჳსი სიცოცხლე თჳისსა მამულსა შეჰ-
სწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქუნდათ ტრფობა მამულისადმი გულს
აღბეჭდილად,
როს ერთგულება, სარწმუნოება
ივერთ თჳსებას შეადგინებდნენ;
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ...
გისმენდე: თუ ვით, დღესასწაულსა,
შექცევით ლხინით, მოწოდებულნი
ჭაბუკ-მხედარნი ყაბახსა*) ვრცელსა,
ვითა საომრად მომზადებულნი,
ვით ალვა რგულნი ცხენზე უძრავად,

*) სადაც ეხლა ალექსანდრეს ბაღია, იქ იყო დიდი საჯირითო მეიდანი, სახელად ყაბახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰქრიან ესრედ, ვითა ნიავი.
ჰკრეს ნადარასა—განიყჳნენ ორად,
აჰა, სასმო სჩანს სანახავი!
ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი, ყურთ-მაჯთ ბრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენითგან ხტომა, კჳალად ზეხტომა და ხმალთ კრიალი!..
ზოგი არწივსა,
ზეცას მფრინავსა;
ისრითა მკჳეთრით განუპობს გულსა,
ჯირითი ზოგის
ზუზუნით მოჰქრის
და მოსჳდა ქჳაზე*) თასს ნიშნად დგმულსა.
ამ ვაჟკაცობრივს შექცევას იგი**) სიამით მარად უმზერდა შორით,
ვისცა ეჭერა დიდება სახეს, ვინცა არღა არს, ვისთჳსცა ვსტირით!
წასულთა დროთა, დიდების დროთა, ყოველი კეთილი თანა წარიღეს.
აწ უცხოს ცის ქჳეშ ზოგთა ვჰსჭვრეტთ ოხჳრით და ცრემლით ზოგის წმიდა სამარეს!...

---

*) ყაბახის თავსა და ბოლოს იდგნენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც დასმიდნენ თასსა და ესროდნენ ჯირითს, და ვინც მოარტყამდა, თასი იმისი იყო, ჯილდოდ გამარჯვებისა. უკანასკნელ ჯირითში კონა ერისთავმა გაიმარჯვა.

**) მეფე ირაკლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით,
უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?...
მარამ, ამათ ჩემთ იარალი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!
სად აზარფეშა, სად არს მწვანილი?
ღვინის წილ—კვასი, მზისა წილ—ყინვა!
გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წუჭდიადსა
სადღა იხილოს ცა მშვიბლიური?
შენ ხარ პეტერბურღს, მე ნოვგოროდსა,
გარეთ მკლავს ყინვა და შინ უგარი.—
გულს ეწუხების, რა აგონდების დღენი წასულნი ნეტარებისა;
მაგრამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და ჭმუნვა მისთა შემცირდე-
ბისა.

ნოვგოროდი, 1832 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3. მუხამბაზი

სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით
თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით!
ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილებით;
ალავერდა*) დასვით თარით ნაქებით,
ყოჯა ბულბულ ტკბილის ხმით აღუღუნეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!!

*
* *

ლხინის პაპა**) სახით არაბისტნელი,
ღვინისა და ქშსასათჳს შექმნილი,
ტოლუბაშად დასვით ქუდ ჩაკეცილი!
მის შკოლაში ვინ არა ვარო ნასწავლი?
ორმოცის წლინ რომ შეიქნეს, გააგდეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

*
* *

სიჭაბუკე, ვით მაისი, მშვენივრად
აღყვავდების და მისებრ ჰქრების ჩქარად:
ვაჲ, ვისთჳს ეს დრო განვლის უგრძნობლად,
და ცის ალით-ეშხით არ ჰყოფს გულ დამწვრად!
სიჭაბუკე არს ლხინის დრო, მერწმუნეთ:
დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

*
* *

---

*) იყო გამოჩენილი მომღერალი მეფეებისვე დროს.

**) მირზაჯანა მ. დათოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითა ბაღი უყვავილოდ, უვარდოდ,
არა მიყვარს ლხინი უეშხ-უსატრფოდ!
მოდი, მნათო, სავსე თასი სალხინოდ
ჩავვირიგე—თუ გინდ ისე, უპროშტოდ:
შენი თასი არს სადგური სიამეთ!
დიმპლიპიტო დაჰკარ-დააკაკუნეთ!

*
* *

ვისთა დღეთა მწუხრამდის ნათლად განვლეს?
ვისი მზე არ ღრუბელსა მიჰფარვიეს?
ვისი ბედის კოშკი სულ ალჩუ დაჯდეს?
არ მიენდოთ დამღუპავს, წყეულს ხვალეს?
დღეს მოხარულთ დღესვე ისიამოვნეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

*
* *

მიმოხედეთ, რავდენთ ვეღარ იპოვნით
ერთად მსხდომთა, მოხარულთ თქუენთან ყოფნით.
სად არიან? ზოგნი შორს ვლენან ოხვრით;
ზოგნი უდროდ განვიდნენ სოფლის ლხინით!
ამ თქმაში რად, ცრემლნო, თასში შთაცვინდით
და ჭირთ მდევნი, ღვინო ტკბილი დამწარნეთ?...
დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

რიგა, 1835 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4. ს... ს...

ვარდი ხარ?—არა!
ზამბახი?—არა!
მარამ შენთ ლაწვთზე აღყვავებულნი,
არიან ორნივ შეზავებულნი!
ნეტარ მას ბულბულს, ვინც შენს ვარდს, ზამბახს
ზედ დამღერს მარად, ვით ეშხის ბანაკს;
ვინც დასუნოსა
თმა ლადანსა,
დაუდევნელად ბროლს მკერდზედ გაშლილს;
ანუ შეეხოს
შენს წელს კიპაროზს,
სიყვარულისა სარტყელით მოვლილს!
სიცოცხლე მისი,
ვითა მაისი,
ნეტარებითა აჴუვავდეს ახლად,
და ვითა დილა გაზაფხულისა საამოდ განვლონ მის დღეთა ნათლად!

ეგ ორნი თვალნი,
ორნი ვარსკვლავნი,
ეშხის სადგურნი, ბრწყინვენ გონებით!
მათ ტრფიალებით
მიჰმართავ ვისცა,
განიხსნას მისთჳს სიხარულის ცა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენთა სიტურფეთ,
რის გუნდნი მოტრფეთ,
ვით ფარვანანი გარე დაჰფრინვენ,
და შექცევაში,
სიამის ზღვაში,
გონება გართულს რის მიგიზიდვენ,—
მე განშორებულს,
გულ-გამწარებულს,
მაშინ გონებით თუ დამივიწყებ,
არ შევინანებ:
ოღონდ კი შენს გულს,
ზოგჯერ ვახსოვდე ჩემდამო ერთგულს!

ტფილისი, 1837.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5. სალამო გამოსალმებისა.

მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკაზსა
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!
მათ კლდოვანთ გვერდთა შავადა ღრუბელნი ზე დაჰსწოლიან
და მრისხანებით ქჳყანას წარღჳნითა ემუქრებიან.
გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწჳანით
მთებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით;
წყალნი მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან;
თერგი რბის, თერგი ჰღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

*
* *

შეწუხებული ვუმზერ გზას და მასზე ეტლს მიმსრბოლსა,
მიმტაცსა ყოვლის კეთილის, რაცა გჳაქუს ამა სოფელსა,—
რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა
და აღგვამაღლებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა!
მიდიხარ სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა.
ცად მიმართ შენთჳს მექნება, ვიდრემდის სული მელევა!
არღა აამონ აწ თჳალთა გული შენისა ხილვითა;
წარვიდეს ჩემი სიცოცხლე უშენოდ შრომით, ზრუნვითა!

*
* *

ეტლი ჰქრბის... სატრფო მშორდების... თანა ჰსდევს ჩემი
მას სული.
ვჰმზერ... შორს ძლივღა ჰსჩანს... აღარ ჰსჩანს... რაღასა
ვუმზერ შმაგ-ქმნილი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიშორის ნისლმან მიჰფარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი,
და გულით ოხჳრა სიმწარის აღმოუტევე უნებლი...
მშვიდობით! ვინცა დამატკბე სიცოცხლის ნეტარებითა,
აწ ვისთჳს გული მიკჳნესის, სული ჰსწუხს განშორებითა,
ვის ხილვა არღა შემმოსავს სიხარულისა ნათლითა,
არ განმასვენებს მწუხარეს ალერსის ხმითა ტკბილითა!

*
* *

მარამ ამ სოფელს, შენ გარდა, ვინა მყავს მანუგეშებლად,
რომ შენც განმშორდი, დამტოვე მწუხარებისა მე მსხუერპლად?
წახველ, წარმტაცე ყოველი საამებელი სულისა,
და ვინ განმიღოს აწ კარი ბედისა დაკარგულისა?
ან მე უგნურსა რად მრწამდა ბედისა დაუსრულება?
აწ დავშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!

არს მწუხარება სულისა, არ აქჳს ნუგეში რომელსა,
ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს, კმა შეჰსწყდეს, მოთქმით რა ერგოს გულ-წყლულსა?

*
* *

შეღამდა... მარტო ვჰზი ჭმუნვით, ჩემი ჩივილი ვის ესმის?
დაყრუვდა არე... მხოლოდა კმა ისმის ზოგჯერ გუშაგის.
მხოლოდ ჰსჩანს, მთანი მდუმარედ აყუდებულან ცათამდის,
და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკულავი დაჰნათის!
წყალნი, მთით დაქანებულნი, უფსკრულსა იკარგებიან,
თერგი ჰკრბის, თერგი ჰღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

ვლადიკავკაზი. 1841.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 6. სადღეგრძელო.

(რამდენიმე ადგილი)

ძმანო, აღვავსოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთა დაჰსდვეს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად,
რომელთა სახე დიდების სხივს მოგვფენს გასამხნევებლად,
რომელთა სული მაღალი ჩვენც მიგვიზიდებს ცად მაღლად!

ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა შთომილი,
რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მქრალი,—
ეგრეთ იქმნების აღხოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი!

ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს, სადა ჰსცხოვრებდენ ძველ-გმირნი?
დრომან შემუსრა, აღჰგავა მიწით მათნიცა საფლავნი;
მარამ, ჰსცოცხლან ჯერეთაც დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენი სახელოვანნი!..

*
* *

ზეცა წყალობად, ნუგეშად, ივერსა გაოხრებულსა,
მეფედ მოუვლენს დავითსა [1]) ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა,
მხედართ-მთავარსა უძლეველს, გულ-მოწყალესა მსაჯულსა,
ზე-ჩაგონებით გასწავლულს, ენა-მდიხარე მეტყველსა!...

დავით ჰსთქვა: „იყავნ ქალაქნი!“ და აღმოსცენდნენ ქალაქნი!
განჰვლე უდაბნო ოხერი,—სავსედ დაბებით შეჰქმენი!

---

[1]) დავით აღმაშენებელი, რომელიც გამეფდა მაშინ, ოდესცა საქართველო იყო სრულიად გაოხრებული მაჰმადიანთგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰკარ წერაქვი,—და აღჩნდნენ ტაძარნი, ტურფად ნაშენნი!
მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი!
ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი ფენიქსებს განასლებული,
დიდების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღუშავებული!...
აღმხედრდი ლაშქრად,—და ილტვის სულთანი[1]) შეძრწუნებული,
შირვან, დერბენდი[2]) ჰყავ სამზღვრად, შენის ხმლით შემოხაზული...

*
* *

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს[3]) ლაშქარი;
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერით ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!
მესხი სწავლით ქებული, გმირი იმერი ზდილობით,
და მშვიდლოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით!..
თამარი ლოცავს ჯვარითა, ჯარს ამხნევს გულის უსვებით;
გული მეფისა ზღვა არის, უსამზღვროება წყალობით!...
გალაშქრდნენ, მისწვდნენ კარნუსა[4]) ერთის შეტევით მიდეწეს!
ლომებრ მისცვივდნენ სინოპსა, მის ციხე ზღვაში გარდაგდეს;
განვლეს არეზი, თავრიზი, ყაფლანქუ გარდაიარეს,
და მტერი გაოხრებისა ღვთის რისხვად ყაზმინს თავს დასცეს!

---

[1]) შემახიის სულთანი გაიპარა შეშინებული მეფის დავითის ჯარის მიახლოებითა.

[2]) მაშინ საქართველოს საზღვარი იყო: ანი, შამახია და დერბენდი.

[3]) დიდუბეში იდგა თამარ მეფის სასახლე, რომელშიაც იყო მეორე მისი ქორწილი.

[4]) კარნუ ქალაქია, აწინდელი აზრუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრონი იცვალნენ.. იხილეთ, ქეთევან ნაზად აღზრდილი[1])
მამულისათვის იტანჯვის, სარწმუნოების დამცველი!
კორტ-დაგლეჯილი შანთებით, მკერდზედა ცეცხლ-ანთებული,
სულის სიმაღლეს გვიმტკიცებს ზეცად დიდებით აღმსვლელი!..

ნათელ გვირგვინით მოჰსჩანან კახეთის მხსნელნი გმირები,
ელისბარ[2]) შალვა, ბიძინა, მტარვლისგან დატანჯულები!..
ტარიგად შესაწირავად მახვილით განგმირულები,
ღმერთს ავედრებენ მამულსა მათ უკანასკნელ სიტყვები!...

* *
*

ჰე მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არა დაკლას თავი თვისი, შენ დიდებად ვითა მსხვერპლი!

ვინ არ შეჰსტრფით მას ადგილს, სად აღგვეხილნეს პირ-
ველ თვალნი?
სად ჰრბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი?
სად გვფარვიდა ნებიერად ხვევნა ალერსით მშობლისა,
და სად აღგვენთო პირველად გულს ცეცხლი სიყვარულისა!
სად აწ ნაზისა რხევითა კეკლუცნი, გულის მიმტაცნი,
ტაძრად მიდიან ცრემლითა ჩვენთვის მხურვალედ მლოცავნი!

---

1) ქეთევან დედოფალი.

2) ელისბარ იყო ჩოლოყაშვილი; შალვა და ბიძინა—ქსნის ერისთავნი.

სადა შევჰხარით ლაჟვარდად ცისა კამარას მორთულსა,
მასზე მაღალსა კელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულსა,
ღამით ვარსკჳლოვანს ფირუზსა, მთოვარით განათებულსა,
სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა!

სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცამდე ასულნი
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზედ მსროლელნი;
უფსკრულნი-ჩაბნელებულნი, კლდენი-თჳალ-გადუწვდენელნი,
სად მონადირე ჰსდევს ჯიხჳსა და მის ქჳეშ ჰვლენან ღრუ-
ბელნი!

სად ველნი, ფერით ზურმუხტნი ნაზადა აღმწჳანდებიან,
მათზე კასკასით წყარონი, გახარებულნი მორბიან;
მათ სიკამკამეს ყჳავილნი თავ-დახრით განცვიფრდებიან;
გულს მათი ხილვა უხარის, თჳალთ კჳალად ენატრებიან!

სხჳა საქართჳელო სად არის, რომელი კუთხე ქჳეყნისა?
ერი — გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ადამანტისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყჳარე თავის მიწისა!...

მამულისათჳს ფიალა სავსე ვჰსჳათ სიამოვნებით,
და იქმნეს აღყჳავებული კეთილ-დღეობით, დიდებით;
იქნეს მის ქედი აღყჳანილ ცათამდის მტერთა მძლეობით,
და სიყჳარულის მისდამი ვჰხარობდეთ გულსა აღგზნებით!

სოფელი ამად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!
მის სადიდებლად ჩვენც შევჰხჳდეთ უშიშრად ათასს მახჳილსა,
და მოვჰკჳდეთ, თუკი სიკჳდილით ვადიდებთ მისსა სახელსა!

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჰღება,
ცას სიხარული მოჰფინა და ქუეყანასა შვენება!
აენთნენ ცეცხლის ალებრივ შორს განბნეულნი ღრუბელნი;
ცა მშუენიერობს, ნათლდება...მასა შევნატრით მხილველნი!

იელვა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკულავნი ჰქრებიან,
ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!
მოჰქრის დილისა ნიავიც გულისა მაგრილებელი;
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი!

ოჰ,რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმასთ, ჰგალობს ბულ-
ბული?
ირაკლის თაფაც*) გამოჩნდა... აჰა მთაც კიდობანისა!..**)
აი მყვირალა ზანგიცა და ბურჯნი ერევანისა!...

*
* *

ვიშ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჭმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკბობელსა! .
ღმერთო, ვინ მაჰსწუდეს შენგან ქმნილს, მისს ფერ უთვალავს
შვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკუდილით ჰბადავ ცხოვრებას!...

ურდოც შეიძრა...ხმაურობს...დაჰკრეს ნაღარა ცისკრისა...
განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!

---

*) სარდლის ბაღთან ირაკლის თაფაა, მარჯვენივ ზანგისა, ამ გორაზე იდგა მეფე ირაკლი, როდესაც დაიმორჩილა ერევანი.

**) არარატის მთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი თოფიცა გავარდა... აი ჰრბის ცხენი მხედრისა!...
ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?

ჩუჱნც ავდგეთ, ძმანო, და ერთიც გამარჯვებისა დავლიოთ!
და დღეს ვინც ვეღარ დაბრუნდეს, ის ცრემლით მოვიხსენიოთ!
დასრულდა, გაჰქრა, სიზმარებრ ესე ლხინიცა ღამისა ..
წარვიდეთ, სადაც მიგვიწოდს ხმა საიდუმლო მხედრისა!...

## 7. თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკკლესიაში.

შენს წმინდას სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვან-ცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!

*

მიხარის—გიმზერ!
ვწუხვარ—და გიმზერ
და ესრეთ მზერა მსურს სიკუდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე,
ჩემის სამშობლოს სულით დაცემას!...

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვავილოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის,
შავ დროთა*) ძალით ფერ წახდენილი!...

*

და ვით განვლილსა,
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს, დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავჰსწყუდეთ ცის შემრისხავნი!...

*

ხნით დამაშვრალი,
დაღონებული,
შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედ-კრულს
შენს სატრფოს მამულს,
და ჯუარით**) შენით აკურთხო კვალად.

*

*) შეიოსვლა ლანგ-თემურისა და შაჰბაზისა, რომელთა საშინლად გააოხრეს ჩუენი ქუეყანა. ქართველთა დაარქვეს შავი დრო ამათ შემოსვლასა.

**) როდესაც საქართველოს ჯარი შეიყრებოდა სალაშქროდ, თამარ მეფე თვთ აკურთხებდა მას ჯარსა ჯუარითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს კრად სხჳათ ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდრათ,
სწავლისა შუქით განათებული!

*

ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყუარულითა! —
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავ მოგვესმეს,
სიტყუა ქართული რუსთაველისა.

*

რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვასხლდეთ,
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!....
...მარამ ცად თუალნი,
გაქჳს მიქცეულნი,
და მე ვეღარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,.

*

დამცირებულსა,
ხმა-მიღებულსა,
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!...

*

...ვა თუ რაც წახდეს,
ვეღარა აღჰსდგეს,
ვეღარ აღუყავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმან ყორანმა, ვით უმწე მსხჳერპლი?

*

...ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ უცვლელ?...
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მომფენი,
ნუ თუ ესღა გვაქვს, ვხედავ რასაცა?

*

დაურვებულსა,
გზა-შეუვალსა,
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
დიდის თამარის,
ჰსჩანს ძველს კედელზედ გამოსატულად! ..
1877 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 8. მუშა გოქუაძე.

რას მიყურებ ეგრე გაკვირვებითა,
ანუ თუ სახე არ გინახავს მუშისა?
მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,
ფერით რკინა, კისერ ჩაყანგებული,
კაცი გულით დაჩაგრული ბედითა,
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!..

*

ან რა გიკვირს? ჩემს შუბლზედა ღარები,
წვერ-ულვაში უდროოდ გათეთრებული
ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა,
დიდთა შრომათ, ღრმათ ფიქრებთა მწარეთა,
უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!..
ჰსჩანს, არ იცი, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება!...

*

ნუ გიკვირს კი, ჰსჯობს ჩემს გულში ჩახედო,
წაიკითხო სიმწარისა ამბავი:
ძმის ღალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა,
მეგობრისგან იუდასი ამბორი,
საყვარლისგან წყეული სიყვარული,
ნაზის კელით გულს დასმულნი დაღები!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის გარე უწყალოდ განდევნილს
დამავიწყდა, რაცა ვიყავ ოდესმე!..
და აწ მხოლოდ დამშთა ასე ჩემს ბედად,
ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუკმისა...
და მიდის დღე, მიდის ღამე ამ ყოფით!

*

ნუ მაყურებ ასე გამწარებულსა?
სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა...
მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერიან!..
ბედნიერნი გულითა უზრუნველნი!
ბაღით მესმის ჭიანურის ლხინის ხმა,
სავათნავას გულ-დამწვარი სიტყვები..
გულით მინდა, მეც აქედან ხმა მივცე;
მაგრამ მცხვენის, მე მისი რა ტოლი ვარ,
და ღრმად ვჰმალავ გულში სიმწარის ოხვრას,
მალვით ვიწმენდ თვალში მორეულს ცრემლსა..
ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰკვნესის...

*

მაშ ვინა ვარ, რა მქვიან ამ სოფელში,
თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს?
სიჭაბუკე ტანჯვით შრომამ წაიღო
და ვერ ვხედავ მომავალშიც ნუგეშსა,
მცირედს სხივსა სიხარულის ნათლისას...
წყეულ იყოს, ვინცა მუშა აგურთხა,
მოკლებული ყოველ-გვარსა შვებასა,
კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული!..

*

რას მიყურებ დაღონებულს ფერ-მიხდილს?
მოვჰხუცდი და რა მაქვს მოსაგონებლად,
თუ არ ჩემი ვაებითა ცხოვრება?
რა მიამა? რომ მოვკვდე, რა ვინანო?
როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით,
სიცოცხლისვე დროსა დავიწყებული!...
რა ვიშობე. თუ ეს ბედი თან დამჰყვა?
ვინ ვადიდო, ვინ დავსწყევლო? არ ვიცი!
მაგრამ ჩემთჳს დღე სიმწარით დამდება...

*

რათ მიყურებ აგრე გაოცებული?
ნუ თუ, მართლა, კაციც არა გგონივარ?
რადგანაც ვარ სიღარიბის სამოსლით,
არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!..
მაშა მღჳდელი ლაპარაკს რომ დამიწყებს,
ყურს რათ ვუგდებ გონება მიზიდული?..
მის სიტყვები ზოგჯერ თუმცა არ მესმის,
მაგრამ გულს კი უხარიან მათ სმენა!
სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ-ცემისა,
ზეციურის მადლით განათებული.
გულში ჰქრება ღელვა სიბოროტისა...
ვჰგრძნობ სიმშვიდეს.. ლოცვაებსა ვიგონებ...
მაგონდება დღენი ყმაწვილობისა,
ხმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი...
თჳალ-წინ ვჰხედავ დიდხანს დავიწყებულთა...
და აღარ ვჰწყევ ჩემს შობის დღეს, ჩემს ბედსა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ შრომაც დიდად მიადვილდება,
და მას ღამეს მძინავს ისე მშვიდობით,
თითქოს ჩემს ქოხს დასჭფრინვენ ანგელოზნი!...

*

განცხრომის ძევ, ნებიერად გაზრდილო,
ეს ქვეყანა თქვენთჳს არის შექმნილი!
ველთ სიმწვანე, ცისლაჟვარდი, მზის შუქი,
გაზაფხული სუნნელების ნიავით,
შენ გეტრფიან, გახარებენ, გატკბობენ!
შენთჳს ჰბრწყინვენ თჳთ ლამაზნი თვალებიც;
ნაზი წელი რხევით შენკენ რონისებს;
მიმოჰქრიან შენთჳს ზღჳაში ხომალდნიც
კელოვნების ძვირთ საუნჯეთ მზიდველნი.
თჳთ მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,
შენთჳსა ვარ დაბადებით მსახურად:
დილითვე ვჰგვი ქუჩის უწმინდურებას,
რომ მის სუნი არ აწყინოს შენს ცხვირსა,
და შორით გმზერ, კრძალვით მლოდე წყალობის...
შენ ხარ მეფე... მე ძაღლადაც არ მაგდებ!...

*

რაღა გითხრა, ნუ თუ ეხლაც ვერ მიჰხვდი,
რა ძნელია შოვნა ლუკმა-პურისა?
როგორ ახდენს სიღარიბე კაცის გულს
და აბნელებს სულის სხივსა, გონებას?
ეჰ, ძმავ, წადი შენ-შენს გზაზე სიმღერით...
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვისხნი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!...

## 9. პასუხი შვილებთა.

ჰე განუსჯელნო,
უმადლო-შვილნო,
საუბედუროდ ცუდ დროს შობილნო!
სადღაც მიმალვით
რას ჰჭროტავთ, ჰკნავით,
გაბოროტებით რათა ჰსწყევთ მამათ?...
უკადრისობით
და უმეცრებით,
ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელს;
მხოლოდ თქჳნთ სიტყჳბთ
თქჳნვე ინანებთ,
თქჳნვე გულს უგბენს უსამართლობა!
დრო მამებისა,
მამაცობისა,
წარვიდა მათთა სახელთა ქებით!
მამანი თქჳნნი,
თავის დროს ძენი,
თავის დროს იყჳნენ სახელოვანნი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსმალ-სპარსები,
დაღისტნის მთები
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!
მათ დაიფარეს,
სისხლით დაიცვეს,
სისხლ-შემოსილი მამული თვისი,
და სასო ღვთისა,
მცველი ერისა,
ენა, საყდარი, სარწმუნოება!...

*

. . . . .
დრო შეიცვალა,...
გამეფდა სწავლა,
გაგვიღოთ შვილებს სახლი სიბრძნისა!
სწავლის მამები,
პროფესორები,
თქვენთვის მოცლილნი, თქვენთვის მქადაგნი,
თქვენ გასწავლიდენ
და მზად გაძლევდენ,
რაც შეეძინათ საუკუნოებს!...
ჩვენც ვსწუხდებოდით,
გულით ვგრძნობდით,
შვილი მამასა ემსგავსებოდა!
და მოგელოდით
დიდის იმედით,
სიხარულისა ღელვით აღვსილნი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითმინოთ, მოვლენ,
და განგვინათენ
ჭსწავლისა ლამპრით დავრდომილს მხარეს!
ჩუჳნც მივეგებით,
მხიარულებით
ღირსთა შვილებთა კურთხევის სიტყვით!...

*

მოვიდნენ...და რა?
სულ ჩაგვემწარა...
ვაი ჩუჳნს იმედს... ვაი თქუჳნ მოსვლას!...
პირუჳლად იწყეს,
შკოლა გამართეს...
ვჭსთქვით: ახლა მხარე გაგვინათლდება!...
ყრმანი საწყალნი,
უბიწო-გულნი,
ჭსწავლად მისულნი, წაჭხდნენ ზნეობით!...
უსასოება,
ურწმუნოება,
უმანკო-გულში ღრმად ჩაუნერგეს.
„ღოცუჳა რათ გვინდა?
ღმერთი რათ გვინდა?
ჩუჳნი გონება არს ჩუჳნი ღმერთი!„...
და დაიწყევლა
თქუჳნი აქ მოსვლა,
და თქუჳნის სიბრძნის ნაყოფი შხამი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი არ არის?..
შენთჳს ნუ არის!
შენ რა გაწუხებს, რომ ჰჴსუფევს სხვისთჳს?

*

სსტუათა ხელი ჰჴუფს
კეთილსა საქმეს:
სტამბით მოჰფენოს სწავლა მამულსა!..
აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები.
ვაი საბრალოს... ვაი ჩუენს ენას!..
მათ უსწავლელთა,
ცრუ-რუსთაველთა,
სრულ წაუვიშილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ კელში!...
ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია, დაცულ არს ენით.
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!...

*

ახლა რას ელით?
მამათ რათ ჰჴსწყევლით?
ვიგემეთ თქუენის ღვაწლის ნაყოფი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველთ უძველესი
არს ესე წესი,
რაც ვერ ჰქმნეს მამათ, ისი ჰქმნან შვილთა!
შვილნო, გამოჩნდით,
ჰსწავლითა, საქმით!
მამის განძღვა შვილს ვერ ადიდებს!
ცუდ-მეტყუელებით
ვერ ამაღლდებით.
დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით!
თქუენი დიდება
ჩუენც გვიამება;
მის სხივის შუქი ჩუენც მოგვინათებს!..
აჰა დიდების
და სახელ-ქების
ასპარეზია თქუენთჳს დაცლილი!...
რაღასა ელით?
რატომ გვირგვინით
არ შეიმოსვის, ვინცა გუავთ ღირსი?...
რომ ბრძოლის ცეცხლი,
აჰსტყდეს ფიცხლი,
ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით,
იმ თქუენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ველს ბაირაღით, ძირს დაჰსცეს ყარსი!...
რომ მისმა ხმამა,
ქუხილის მსგავსმა,
შეჰსძრას ქუეყანა მის აღსადგენად?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაი საბრალოს,
ჩუჱნს საქართველოს,
თქუჱნ დაებადეთ მის სადიდებლად!. .
ან სად არიან?
აღარ ისმიან
თავისუფლების მაღალ-ფრაზები!...
„მოყუასს — შეწევნა,
ბოროტსა — დევნა,
საზოგადობის სულით აღდგენა!...
ერთობა, ძმობა,
ზნეთ ამაღლება,
მამულისათჳს თავის განწირვა!...“
სიტყუა სიტყუაა,
საქმე კი — სხუაა...
ოქროს ჯაჭვი ჰსჯობს თავისუფლებას!...

. . . . .

*

გონების ბრწყინვას,
ჰაზრების ელვას,
წმინდისა გულით კეთილის თესვას,
ნეტავი მიხუდეთ,
ნეტავი მიჰსწუდეთ.
მაღალსა ცაში შავარდნის ფრენას!...
და გულით ოჴსრავს
ის, ვინცა ჰხედავს
თქუჱნსა სიცოცხლეს ფუჭად მიმავალს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქუენსა უქმობას
არარაობას,
და უმეცრების ამაყობასა!...

. . . . . . .

ჰე, სასურველო,
გმირთა მამულო,
ნუ თუ შენ მართლად ესრეთ დამცირდი,
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეპყრნენ ცრუ-პოეტები?
ცრუ-ლიბერალნი,
პატრიოტები,
მ... ს...ი, მეველე, მელიქადები?...



# V. მიხეილ თუმანიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მიხ. თუმანიშვილი

დაიბადა 19 მაისს 1818 წ. სოფ. ხელთუბანს, გორის მაზრაში და იყო უმცროსი შვილი ბართველისა, მეფე გიორგის მდივნისა. ჯერ სწავლობდა გორში, მერე შევიდა ტფილისის გიმნაზიაში, სადაც სწავლა დაამთავრა 1836 წ. და იმავე წელს სამსახურში შევიდა. სამსახურში ყოფნის დროს დიდს მონაწილეობას იღებდა გლეხების განთავისუფლების საქმეში. მისი ლექსები დაწერილია 1836—38 წლებში. 1852 წელს დასწერა რამდენიმე ფელეტონი ქართულ თეატრსა და მწერლობაზე „კავკაზში". 1857 წ. ბეჭდავდა „ცისკარში" ფელეტონებს „სალაყბო ფურცლის" სახელით. „ცისკარს" განშორდა ოთხის თვის შემდეგ. რადგან ვერ შეურიგდა იმ ლიტერატურულ არევ-დარევას, რომელიც მეფობდა ადრინდელ „ცისკარში", და თითქმის სრულიად დაანება თავი მწერლობას. მხოლოდ ორიოდ ფელეტონი უძღვნა ქართულ თეატრს „დროებაში" და „ტფილის. ვესტნიკ"-ში.

გარდაიცვალა 1875 წელს, 2 თებერვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1. ღამე.

მთას მიეფარნეს
მზისა სხივები,
და გაიშალნენ
ღამისა ფრთები.

ვით მოღიმარნი საყვარლის თვალნი,
ცით ვარსკვლავები ზედაგვნათიან
და ფუფუნებით ნელნი ნიავნი
სუნნელებასა გარემო ჰქრიან.

წალკოტსა ნაზად
ვარდნი ღვივიან,
ბულბულნიც ტკბილად
ზედ დამღერიან.

კამკამ წყარონი ხეივანთ შორის
იდუმალ დენით მობუტბუტებენ
და ხმანი მათნი, ვით ჟღერა ჩანგის,
შემოგარესა ამუსიკებენ.

მარამ უცებრად
აღმენთო გული?
ნუ თუ ჰკრძნო ამად
ჟამი აღთქმული?

ნამდვილ მოფრენით, გინდ მოჩვენებით,
მოვედ, ლეილავ, მომაჰყარ ხვევნა!
თვალნი აღმივზნე ნათელ მოხედვით,
ხმითა ციურით საამე სმენა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოწისა ღიმილით
გამაცისკროვნე,
გიშრის შტოებით
დამაგვირგვინე!
მჳლობი ბედისა სამოთხიურის,
შევსვავ სიტკბოსა ბაგეთა შენით,
შემოგვნატრებენ ვარსკვლავნი ზეცით,
და ვარდს ბულბული შეებრალების.

1838 წ.

## 2. ფიალა*)

მიყვარს ფიალა სპეკალი,
როდეს ღვინის ნაპერწკალი
ჩათობს, დუღს, ელავს მასშიგან
თითქოს ლალის ნათელ-წყალი.

მიყვარან ძოწნი ბაგენა,
კმხით, ღიმილით სავსენი
და სიყვარულის წყურვილის
კოცნითა დამაცხრობელნი.

*) ეს ლექსი გადათარგმნილია პოლონურს ენაზე ლა:ღო ზაბლოცკისაგან და დაბეჭდილია მის ლექსებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბაგესა გამშრალსა,
ყეშსოს, ღიმილ-გამქრალსა,
მოწყენით ვუმზერ შორითა,
ვითა ფიალას ნაცალსა.

## 3. ჩონგური.

რისთვის ჩანგურით ჩემად საკვდავად,
რისთვის აღვაძებ ჩემში სიყვარულს,
და განვლილთა დღეთ და სიტკბოებათ
მოგონებასა გულში დამარხულს,
და მას დროს, ოდეს ჩანგურის სიმებს
განუცხადებდი მე თვისსა ჭირებს?

თვალთ დაბინდებულთ ვერღა იხილონ
გაზაფხულისა დღენი მაშვენნი,
მოგონებათა ვერ აღადგინონ
სიჭაბუკისა მხიარულ წელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4. როდის იქნება.

როდის იქნება, შემესხას ფრთები,
გავფრენილ ვიყო შორს ამა სოფლით,
მუნ, სად ცხოვრების ნათელ-მთიები
არ დაბნელდება ჭმუნვის ღრუბლით;

სად სიხარული, ვით წყარო ნელი,
მომდინარეობს დაუსრულებლად,
სად სიტკბოება არს უსუიდელი
და სიყვარული სულს ათბობს მარად.

მაშინ მე ჩსუბუქ, ვცელსა ჰაერსა,
ვით ნელი სიო, მოვეფინები,
შევისხავ ნათელს, შევსვავ სულნელსა
და მზეს და მთვარეს ვემნათობები,

ამა სოფელსაც არ დავივიწყებ:
ზოგჯერ ვით ცრემლი სიბრალულისა
მოვევლინები და ვანუგეშებ
ბედსა კაცობრივს ბნელსა და მწირსა.

მაგრამ ეს მოსვლა იქნება წამი:
ვითა ყვავილზე დილისა ნამი,
შევეთვისები მზისა სხივებსა
და მივიქცევი კვლავცა ედემსა.



# VI. ივანე კერესელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ივანე კერესელიძე

დაიბადა ტფილისში 1827 წ. მამა მისი იყო იმერელი აზნაური ტფილისში გადმოსახლებული. ივანემ სწავლა მიიღო კეთილშობილთა სასწავლებელში (გიმნაზიაში). 1852 წ. დაამთავრა სასწავლებელი და იმ წლიდანვე შეუდგა ქართული წიგნების შედგენას და ბეჭდვას. როდესაც 1855 წ. გიორგი ერისთავმა თავი გაანება ქართულ წარმოდგენებს, ქართული თეატრის და დასის გაძღოლა იკისრა ივანემ და დიდი შრომა და ფული მოანდომა ამ საქმეს. 1857 წელს შეუდგა ჟურნალ „ცისკრის" გამოცემას და რედაქტორობას. 1862 წლიდან ჟურნალთან ბეჭდავდა სამეურნეო გაზეთს „გუთნის დედას". 1874 წ. უსახსრობისა გამო იძულებული გახდა, მოესპო „ცისკარის" გამოცემა. მაგრამ 1887 წ. ისევ განაახლა, თუმცა მოკლე ხნით. 1887 წ. „ცისკარი" გამოდიოდა გაზეთად კვირაში ორჯელ. მონაწილეობას იღებდა აგრეთვე სხვა ჟურნალ-გაზეთებში: „ივერიასა" და „დროებაში". სთარგმნიდა და ბეჭდავდა სხვა და სხვა სახელმძღვანელო თუ ისე საკითხავ წიგნებს.

ივანე კერესელიძის ლექსთა კრებული გამოვიდა 1878 წ. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ნათარგმნი და ორიგინალური პიესაც.

გარდაიცვალა 22 დეკემბერს 1892 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1. გადიდკაცებულს.

ჩემო ძმობილო, ნუ ითაკილებ,
დიდ კაცს საწყალი რომ ძმად გიწოდებ.
მეც სული მიდგას, შენებრ კაცი ვარ,
დიდის კაცობით თავს ნუ იწონებ.

გუშინ, როს იყავ შენ დაცემული,
ყველასთან იყავ მოკატუნებით,
დღეს რომ შეიქენ შენ დიდებული,
რადა ხარ სავსე ამპარტავნებით!

იფიქრე ის, რომ შენებრივ სხვასაც
უნდა კაცურად, ძმაო, ცხოვრება.
მიკვირს, თუ როგორ გძინავს, ისვენებ,
როს ძმა შიმშილით ცხვირ-წინ გიკვდება

გული სარისხით მთლად აგივსია,
იყურები გარს თითქოსდა ისე,
რომ ამ ქვეყნად სხვა არ გაჩენილა;
დამჯერდი, არ ხარ მეტი არ ვისზე.

ისე განაგებს შენზედაც ბუნება,
ისე მოხვდები წუთ სოფლის ცელსა,
და ისე სული შენც აღმოგხდება,
როგორც შენს მსახურს უკანასკნელსა.

ჩემო ძმობილო, დიდი კაცი ხარ,
მაგრამ დღეს რომ მაგ ადგილზედ ზიხარ,
ნეტა რას ფიქრობ შენებრ კაცთათვის,
ნეტარ, მითხარი ძმას რას არგიხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვრივი, ობოლი, ოხერ-ტიალი,
შენი ნაკვეთი, სულ შენი ძმები
ზოგი რასა გთხოვს და ზოგი რასა,
არა თუ შველი, არ ეკარები.

სიღარიბისგან მრთლად დაცემული,
ოდეს მოგმართავს ვით თავის მხსნელსა,
შენ საწყალთათვის არ გტკივა გული,
და ნაცვლად შველის, შენა ჰკრავ ხელსა.

ჭამა, სმა, ლხინი, მარად განცხრომა,
სიამოვნებად გადაგცევია,
და ლუკმა პური ვის ენატრება,
მოიგონე, რომ ის ძმა შენია.

როგორ უცქერებ აგრე გულ-გრილად,
მწუხარებით ძმა რომ წინ გიგდება;
ეს მოქმედება, ჩემო ძმობილო,
იცოდე, ერთხელ მოგეკითხება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2. ჩემს მეგობარს.

გუშინ, ძმაო, ერთ დიდ კაცთან მიველი,
ზარს ჩამოვკარ ვდგევარ, კარებ წინ, ველი.
ზამთარია, ყინვისაგან ვცახ-ცახებ,
მინამ მოვა ლაქია, კარს გაადებს.
გამვლელი და გამომვლელი მიყურებს,
ძრიელ მშივა, მათ სიცილს ყურს ვინ უგდებს.
იქამდისინ კარებზედ მალოდინა,
მინამ ცრემლი თვალთაგან გადმომდინა
ყინვისაგან,—მაგრამ რა გაეწყობა,
მწუხარებით გული შიგნით მეწვება.
მოდგა კაცი, მიღო კარი ბედისა,
ყელს მომადგა ოხვრა მძიმე სევდისა,
შევიმაგრე,—შევყე მსახურს დიდგულსა,
დავსდექ კრძალვით დიდის ზალის კუნჭულსა.
ვსდგევარ ფიქრით, რა დიდ კაცს გამოველი.
წელში მოვწყდი დიდ ხანს მე ლოდინითა,
ბოლოს გულში იმედმა გამიელვა,
გამოვიდა, რა ვნახე, სიცილითა.
ჯერ პირველად გაიარ-გამოიარა,
მერმედ ვნახე, ჩემ წინ ღიმით მოვიდა,
ისე ტკბილად სიტყვა მომცა,—შიამა,
აქ ცოლ-შვილის ბედი გადამავიწყდა...
გამოველი, შინ მოველი სიამით,
ვუცდი, მაგრამ ხანმა განვლო, წავიდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალს დიდ-კაცს, ოდეს ვნახე, იმ წამით
ვგონებ ჩემი ბედი გადაავიწყდა.
ეჰ, რომელსაც, შენი სიტყვის გატეხა,
მაჩნია როგორც, დიდ-კაცს არაფრად,
მიკვირს, ნუ თუ სინიდისი იდუმალ
ასეთ ქცევით არ გიღრღნის სულს და გულსა.
ჩემო ძმაო, ძმას თუ მხადი მონათა,
მეც ჩემს წილად დავსდევ ეს კანონათა;
ღარიბი ვარ, ღარიბულად მოვკვდები,
შენებრ კაცთან ჩემ დღეში არ მივდგები.

## 3. ძმაო ქართველო, ძმობასა ვფიცავ.

ძმაო ქართველო, ძმობასა ვფიცავ,
რომ მოიარო მთელი ხმელეთი,
ჩვენი სამშობლო ქვეყნისა მსგავსი
შენ არ შეგხვდება კუთხე არც ერთი!
მერწმუნე,—იყავ მისი ერთგული,
აქ ნახე პირველ ქვეყნის ნათელი,
აქ ჩაგესახა პირველად სული,
აქავ მიგიღებს შენ მიწა გრილი.
გიყვავებს და გზრდის თვისის ძუძუთი,
გათამაშებს თვის მშვენიერს ველზედ,
და როს მოკვდები, დიდ სიყვარულით
ბოლოს თვითონვე მიგიკრავს მკერდზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმაო ქართველო, ძმობასა გფიცავ,
რომ განვლო შენ გზა თვით უშორესი,
ვერსად შეგხვდება სამშობლოს მსგავსი,
მეგობრობა და ტკბილი ალერსი.

თუ გაწერია შუბლზე ის ხვედრი,
რომ მის მტრისათვის იქნით ხმალი,
დიდის კმაყოფით აღიდე მკვეთრი.
ეს არის საღმრთო თვით შენი ვალი.

აქ გაატარო უნდა სიცოცხლე,
აქ მოიგერო უნდა შენ მტერი.
როს მოემზადო განსასვენებლად,
ბოლოს ჩაყარო აქ უნდა ძვლები!

ძმაო ქართველო, იყავ ერთგული
შენის სამშობლოს ტკბილის ქვეყნისა.
მაზედ ნთხეულა მრავალჯერ სისხლი
მამულის ერთგულ წინაპრებისა.

მაზედა გვქონან ჩვენ სასწოვარნი
ჩვენ მამა-პაპათ მოსაგონებლად,
ზედ აჩნევია გმირული ღვაწლი,
აწ ქცეულთ, ძმაო, ნატამალებად.

ბევრ გზის შებმია ქართველი მტერსა,
ერთგული თვისის მშობლის მიწისა;
აქ შეჭიდომია ბევრ გზის მტრის ხელსა,
თავის ღარიბის ქოხისათვისა.

ჩვენ ქვეყნის ერთგულ მამულის ძეთა,
ბევრ გზის სევია დრუბელი შავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მშობლის მიწის განმადიდეთა,
აქ შეუწირავს ბევრს მათგანს თავი.
ჩვენ მხარეს ტანჯვა ბევრ გზის უცდია,
ატირებულა ერთგულ თვის შვილზედ,
მაგრამ განწირულს მეობობაშიაც,
მაინც დგომილა მოთმენით, მტკიცედ.
მაშ, ჩემო ძმაო, იყავ ერთგული
მისი, ვისიც ხარ შენ სატრფო შვილი,
აქ ჩაგსახია პირველად სული,
აქვე მიგიღებს შენ მიწა გრილი.
ძმაო ქართველო, ძმობასა გფიცავ,
რომ მოიარო მრთელი ხმელეთი,
ჩვენი სამშობლო ქვეყნისა მსგავსი
შენ ვერ შეგხვდება კუთხე ვერც ერთი.

## 4. ოჰ, ქართველო, რა კაცი ხარ!

ოჰ, ქართველო, რა კაცი ხარ!
ეს რასა ჰგავს, ერთი მითხარ?
შენი ჯიბე თუ სავსეა,
არვის აგდებ არაფრადა,
ცა ქუდად არ მიგაჩნია,
დედამიწა ქალამნადა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ შენმა თანამოძმემ
მძიმედ თავი რომ დაგიკრას,
სალამსაც ხომ აღარ მისცემ,
მიაგდებ მას კედლის ძირას.
მაგრამ თუ რომ სიღარიბე
ეწვია მაგ შენსა ჯიბეს,
ყველასთან თავს იკატუნებ,
ჩემო ძმაო, ვინც უნდ იყვეს!
მამულიც კი მაშინ გიყვარს,
მოძმეს ეტრფვი აშიკივით,
მაგრამ გული შიგნით გიყარს,
ძმასთან ჰკრელობ შენ გველივით,
უცხო ტომი თითქოსა გძულს,
როგორც ერთი დიდი ჭირი,
აბა ახლა მოგცენ რამე,
როგორ გასდე მათთვის გმირი.
მათთვის მტერსაც ხმლით იგერებ,
მოყვარესაც ემოყვრები,
ოღონდა კი მოგცენ რამე,
ხანჯლის წვერზედ აეგები!
ეჰ, ქართველო, რა კაცი ხარ!
ეს რასა ჰგავს, ერთი მითხარ?..
თუ ისწავლე ანა-ბანა,
იმ წამს ჩემობ განათლებას,
ალაგიც გსურს იმისთანა,
შეეწიო რომ ძმას ყველას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დაიცვა ამხანაგი,
უღმერთობას ვინც გაბედავს.
აბა მოგცენ შენ ადგილი,
მაშინ ზედაც არ შეხედავ!...
მაშინ გიყვარს შენ მამული,
და გძულს, ძმაო, უცხო ტომი,
რომლისაც ხარ დაჩაგრული,
როს ბედთან გაქვს მწარე ომი;
მაშინ გიყვარს თანამოძმე,
როს არა გაქვს ცალი ფული,
აბა მოგცენ ჯილდო რამე,
როგორ გახდე ძმის ორგული!
მაშინ ქართველი ვინ არი,
რაკი ნახავ თბილსა ადგილს,
შენი სამშობლო ის არი,
სადა ნახავ ჩინის ბანაკს.
ბევრს დაუძებ ქართველებსა,
თუნდ თვით შენსა მამულსაცა,
აგრე შენებრ იუდამაც,
ხომ, ჩემო ძმავ, ქრისტეც გასცა!...
ეჰ, ქართველო რა, კაცი ხარ!
ეს რასა ჰგავს ერთი მითხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5. ჩემო თვალის სინათლევ.

ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია,
ხომ იცი, რომ ეს გული ტახტად მარად შენია;

შენთვისა ვმღერ სიყვარულს, შენთვის ცეცხლი მგზნებია,
მითხარ, და მსწრაფლ გიმსხვერპლო, თუ კი რამღა მრჩენია,

ნუ იჭმუხნის სპეტაკ შუბლს, ჭმუნვა დიდი სენია,
იმ შუბლს, რომელს ნათელი უხვად გადმოჰფენია.

თაყვანსა გცემ მარადღე, შენთვის მომილხენია,
თუ მე ვილხენ, მაშ შენღა რისთვის მოგიწყენია?

შვენებით სრული სახე; ტურფავ, გამოიდარე,
შენგნით კოდილი გული, დაატკბე, გაახარე.

მაშინ არის მხიარულ ქვეყნისა არე მარე,
მზის შარავანდს როს ნისლი არ ახვევია გარე.

კიდევ გეტყვი, ეს გული ტახტად მარად შენია,
თუ გიყვარდე, მნათობო, მაშ ნუ მოგიწყენია!



# VII. ვახტანგ ორბელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვახტანგ ორბელიანი.

დაიბადა 5 აპრილს 1812 წ. დედა მისი იყო მეფე ერეკლე მეორის ქალი, თეკლე ბატონიშვილი. პატარა ვახტანგი იზრდებოდა ოჯახში, თავის დედასთან. 1825 წ. დედამ მიაბარა პეტერბურგის პაჟების კორპუსში. პეტერბურგში ვახტანგი დარჩა 5 წელიწადს მხოლოდ, რადგან ჩრდილოეთის ცივი ჰავა ვერ აიტანა. 1830—32 წ. ვახტანგი ოჯახში იყო და დროს წიგნების კითხვას ანდომებდა. 1832 წ. რუსეთის მთავრობის წინაამდეგ განზრახულ შეთქმულობის შედგენისათვის სხვებთან ერთად რუსეთში გადასახლეს. 4 წლის განმავლობაში ვახტანგი კალუგაში ცხოვრობდა. 1837 წ. დაბრუნდა სამშობლოში. 1838 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში, რომელშიაც დარჩა 1881 წლამდის. 1858 წ. პოლკოვნიკის ჩინი მიიღო და დაინიშნა ყუბანის მაზრის მმართველად. 1860 წ. მიიღო გერენალ-მაიორობა და 1862 წ. დანიშნულ იქნა თერგის მხრის უფროსად. 1864 წ. დაინიშნა გლეხთა საკრებულოს წევრად და მერე სხვა და სხვა ადგილას ასრულებდა მომრიგებელ შუამავლის თანამდებობას. გარდაიცვალა 29 სექტემბერს 1890 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1. არის ადგილი.

(ვუძღვნი იმერთ)

Არის ადგილი, მის შვენებას ვერ აღსწერს ხელი,
როგორც ედემის, მის აღწერა ისეა ძნელი!
მისი შვენება ედემისა არის შვენება,
იმის შვენების მოშორება თვალს ენანება.
თვალს მოაშორებთ, თქვენი გული იმისკენვე რბის,
იმის კვლავ ნახვას სიხარულით გული მოელის.
ზაფხულს ზეფირი მას დაჰქროლავს და მაზედ ხარობს,
ზამთრით მზე მარად მაზედ მნათობს და მის გულს ათბობს;
ღამის მნათობნი სიხარულით მას დაჰცქერიან,
უხვად თვისს სხივსა ზამთარ-ზაფხულ მას უგზავნიან.
ესე არს მიწა საყვარელი ვარსკვლავთ და მზისა,
ზურმუხტ მდელოსი, ფურჩვნილ ყვავილთ და ნათლის ცისა!

*
* *

დიდი შენობა მის დიდს მთაზე არს აღმართული,
ათასის წლისა ხავსით არის იგი მორთული,
დგას დიდებულად, გულამაყად, მტკიცედ და მაგრად,
თითქო უბრძანებს გარემემო ხეობათ და მთათ:
„აქ ვდგევარ მარტო, უშეზობლოთ, ვდგევარ ლიტონი,
„მარტოც ვარ თქვენი მბრძანებელი, თქვენი პატრონი!"...

*
* *

რა შენობაა ის შენობა?—ჰკითხეთ თითონ მას.
ათასის წლისა მის კედელი მოგცემთ თითონ ხმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის კედელი, ჯერაც მტკიცე, არ დარღვეული,
იმ შენობისა დიდებული არის რვეული.
ის ჩვენ მოგვითხრობს: „მე აღვშენდი ხელით ძლიერით,
„ათასმა წელმა ჩემს თავზედა განვლო გრიალით.

* * *

„ამ ათას წელში მრისხანებით მე მზრდნენ ქარნი,
„იძროდნენ მათგან ხეობანი, მთანი და ბარნი;
„სეტყვა და მეხი მრისხანენი ძლიერად მცემდნენ,
„ჩემს შერყევასა და დარღვევას თითქოს ცდილობდნენ.
„მაგრამ, ხომ მხედავთ... აწცა მაგრად, ვით ძველად, ვდგევარ,
„თუმცა ათასის წლის ხავსითა შებურვილი ვარ!

* * *

„აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა—ცა,
„როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა!
„აქ ჩემს წიაღში განისვენებს დიდი თამარი,
„თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვენიერი,
„პოეზიისა, ერის გულში, სხივით მორთული,
„ივერიისა ძეთ დიდება და სიყვარული!
„აქ განისვენებს... მის სახელი?...—დიდი დავითი!
„მათ გვამთ დიდებულთ მე ვარ მცველი, მე ვარ... გელათი."

1879 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2. ორი შენობა.

ორ შენობასა ვხედავ თვალ წინ, რა გათენდება:
ერთში მათგანში ჩანს სიცოცხლე და მოძრაობა;
ვითა საფლავი, გაყინული არის მეორე,
არ აქვს მის წიაღს კაცთ სიცოცხლის ნიშანი მცირე
ახალთ დროთ ტურფად ნაგებია ერთი შენობა,
მგზავრად მიმავლის თვალს იზიდავს მისი შვენება;
წალკოტი ჰყვავის მშვენიერად მის კედელთ გარე,
ზურმუხტ მდელოთი მოსილია იმისი არე,
გარეთ და შიგნით მას კედელი არის მორთული,
როგორც რომ სასძლოდ მშვენიერი ტურფა ასული;
მაგრამ მის კედელს, ამ დროთ ნაშენს, მისს კირსა და ქვას,
ვით სუსტს ასულსა, არცა ძალი და არც ღონე აქვს.

*
* *

მეორე არის ძველთ წინაპართ სადგურის შთენა,
სავსე ღონითა, ღონით სავსით ხელით ნაშენი:
კოშკნი მაღალნი, ციხე ვრცელი, წმინდა ტაძარი,
დიდი პალატი, დიდი არე, როსმე მდიდარი,
დღეს კი უჭერო, უპატრონო, აოხრებული,
გრძელთ წელთ მოხუცი, დაჩაგრული, დახავსებული!
იმის წიაღში ამოსულა ბალახი მწარე;
შამბით და ეკლით მოცულია იმისი არე;
ვინც მას შეჰხედავს, დაფიქრდება და შეიბრალებს;
იმის დანახვა გულს აწუხებს, თვალს არ ახარებს.

*
* *

იმ ეროს არა აქვს გრძლად დგომისა ღონე საკმარი,
მას დაანგრევენ სამოცის წლის სეტყვა და ქარი;
და რა კედელნი სუსტნი, ნაზნი დაინგრევიან,
მისი ნანგრევნიც მიწის პირზედ მსწრაფლ განქრებიან;
განქრება მასთან მისი კვალი და მის ხსენება,
არ აქვს წარსული, მომავალი მას არ ექმნება.

*
* *

ის კი, მეორე, ის მოხუცი შვიდასის წლისა?
მას არ ეშინის არც დროთ დენის, არც ქარიშხლისა:
თუმცა მტრის ხელით შერყეული, შეგინებული,
მაინც დგას გმირად, გმირთა ხელით აღშენებული;
და თუ ოდესმე მის კედელნი დაინგრევიან,
შთენნი კი მისნი საუკუნოდ მთლად დარჩებიან;
დარჩება მასი საუკუნოდ ქვეყნად ხსენება.
მაგრამ დიდს წარსულს მომავალიც დიდი ექმნება,
მას აქვს წარსული დიდი, გრძელი და ისტორია,
იმის წარსული მას კედლებზედ სისხლით სწერია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 3. ჯვარი ვაზისა.

I

ზღვას ქარიშხალი ძლიერად ჰბერავს,
ზღვა ქუხს და შფოთავს, ზღვა დუღს და დელავს;
ზვირთებს ზვირთებზე შავი ზღვა ისვრის,
განრისხებული ღრიალებს, ყვირის.
ტალღა ქუხილით აღიმართება
და გრგვინვით უფსკრულს უკუვარდება;
ზღვა მდუღარეა, მოლად არის შავი,
არსად ჩანს ავრა, არსად ჩანს ნავი...
ან ზღვად მაღალმა ვიღამ გაბედოს
მაშინ თვის ნავი მას უფსკრულს ანდოს?
და თუ ბედს ენდო და თუ ბედი სწამს,
ბედი ვერ იხსნის, უფსკრული შთანთქამს...
მაგრამ გამოჩნდა ნავი დასავლით!
მორბის უშიშრად, მორბის ღვთის ძალით,
მოეშურება, მოაპრისავს, მოქრის,
ზვირთთ განრისხებულთ გულამაყად სჭრის.
ავრა გაგლიჯონ, ქარნი ცდილობენ,
ხომალდი დასნთქან, ზვირთნი ცილობენ;
განრისხებულნი გარს ეხვევიან,
ქუხილით, გრგვინვით ეკვასებიან.
მდუღარე ტალღა უკუიქცევა
და ღრიალითა კვლავ მიეხვევა.
ზღვა ებრძვის ნავსა, ქარი ავრასა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვა დასძლევს ნავსა, თუ ნავი ზღვასა?
არა, ხომალდი ზვირთთ არც კი ებრძვის,
შეურყეველი მოდგრინავს, მოქრის!
ჩანს, ზეცით აქვს მას დიდი ვალი,
ჩანს, მაზედ არის ზეცით ღვთის თვალი,
მაგრამ გამოჩნდა შორით ნაპირი,
მოქრის ხომალდი შეუპოვარი!
ზღვამ მოუმატა თვის მრისხანება,
უფსკრულს მის შთანთქმა მას ესწრაფება;
ტალღა და ზვირთნი მთებივით აღდგნენ
და ნავის გვერდებს მრისხანედ სცემენ;
აფრასა ჰბერავს ქარი ძლიერად,—
მიქროლავს ნავი შეუპოვარად.
მიქროლავს, მირბის,—კვნესის ზღვა შავი...
კოლხიდის კიდეს მიფრინდა ნავი...

## II

ნავით გადმოხდა უცხო ვინმე, ვით მოჩვენება,
არის ასული, მაგრამ არის სიზმარ-ზმანება:
ნათელი, ტურფა, ვით ოცნება, მშვენიერია,
მაგრამ ნათელს პირს სოფლის შვება არ უწერია;
ამ სოფლის გრძნობა არ აღელვებს მის წმინდა გულსა,
ის არ ეკუთვნის არც აწმყოსა, არც დროს წარსულსა,
ეკუთვნის მხოლოდ მომავალსა წმინდა ასული,
მხოლოდ ცისა და კეთილისთვის მას უძგერს გული!
მაღალ შუბლზე აქვს აღბეჭდილი მას მადლი ღვთისა,
ნათელს თვალებში მას უბრწყინავს ნათელი ცისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულის სიკეთე და სიმშვიდე, ჭეშმარიტება,
იმა სოფლისა მოლოდინი და ნეტარება!
მიდის ასული... ხელს უპყრია ჯვარი ვაზისა,
არ ეშინია სიმშილისა, არც უგზო გზისა;
ვერ აბრკოლებენ მას ჭაობნი, ვერცა მდინარნი,
ვერც ფრიალონი, უფსკრულნი და მთანი მყინვარნი;
არ ეშინია წამებისა, არცა სიკვდილის:
დედა წმინდისა წილხდომილსა ქვეყანას მიდის.

## III

ვინ ხარ ასულო, სით მოხვედი, რა აზრი მოგაქვს?
რაც ხელს გიპყრია, მნიშვნელობა, გვითხარი, რა აქვს?..
ივერის ერნო, უამბორეთ წმინდის ფეხთ მტვერსა;
თქვენში აღაგზნებს ქრისტეს ნათლის წმინდა ლამპარსა!
არა! ვერ იგრძნო წმინდის სიტყვა ერმა ველურმა,
არ განაცხოველა მისი გული სიტყვამ ციურმა!
წმინდამ ცრემლითა ცას მიმართა, ხელნი შეჰყარა:
ერი ველური, კერპთ მსახური, ღმერთს შეავედრა.

## IV

იელა ცამან, იჭექა ცამან.
კვნესით ხმა მისცა დაბლა ქვეყანამ;
შეირყა მიწა, შეირყა ზენა,
ბნელმა მოიცვა ცა და ქვეყანა...
აღდგა გრგვინვითა მრისხანე ქარი,
აენთო ცეცხლით ბნელი ცისკარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუსვენებლად ცა სჭექს და ელავს,
ჭაერი ცეცხლით და ალით ღელავს,
სეტყვა და მეხი მიწის პირს სცემს,
მრისხანე ქარნი ხეთ ძირით ჰგლეჯენ,
ცეცხლის ისართა ცა მიწას ესვრის,
ირყევა მიწა, ბუნება კვნესის...
ცამ მოიკრიბა, რაც ჰქონდა ძალი,
და მიწას დასცა ცეცხლი და ალი:
მთანი და ბარნი დასქდნენ, დაიყვნენ,
კერპთ მსახურთ ღმერთნი ქვესკნელს ჩაინთქნენ...
თვის მრისხანება ცამ შეაყენა,
მზემ უხვის სხივით მორთო ქვეყანა.
წმინდის ფერხთ წინა დაემხო ერი,
წმინდამ მას ჯვარით დასწერა ჯვარი!..

V

ჩვენო სამშობლოვ, მშვენიერო, მაშინ შენზედა
მადლი ზეცისა, მადლი ღვთისა ზე გარდმოვიდა:
წმინდა ასული, წმინდა ნინო ცამ მოგივლინა,
ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხივი მან შენ მოგფინა.
მიხვდნენ დიდ მცნებას ძენი შენნი, ერი ველური,
მიხვდნენ, რაც არის დიდი სიტყვა, სიტყვა ციური:
„ქვეყნად მშვიდობა და კაცთ ჰქონდესთ გულს სათნოება,
„ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება!“
სადაც სწირავდნენ კაცთა მსხვერპლად კერპთ ბომონთ კარს,
იქ ისმა მაღლა გალობის ხმა: „წმინდა, წმინდა არს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოისმა მაღლად დადებული, საღმრთო ხმა ზართა,
მაღლა შესძახეს მას ხეობათ, მთათა და ბარია,
დიდთა შენობათ მთლად მოიცვეს მთანი და ბარნი,
აშენდნენ, აღდგნენ დიდებულად წმინდა ტაძარნი;
ელლინთა სწავლის, განათლების წყარო ნათელი
შთამოიღვარა, და განათლდა გონება ბნელი;
დაშვენდა, დატკბა, შემუშავდა ენა ივერთა,
დღესაც-კი გვატკბობს მათ დროთ ენა ამერ-იმერთა,
მაგრამ რად გვინდა მის ამბავი, რაც არს აღარა?..
რაც თვალთ წინა გვაქვს გულსაკლავად, ისიცა კმარა!

დიდნი პალატნი, დიდნი ტაძარნი
სადღა არიან? აღარ არიან,
მათ დიდ შენობათ დიდნი ნანგრევნი
ჩვენ თვალ წინ პირქვე ტიალად ჰყრიან;
მგზავრი, მოსული უცხოს ქვეყნითა,
დადის მათ შუა უკვალო გზითა,
ჩვენს ისტორიას მათში ეძიებს,
მაგრამ ვერა რას, ვერა რას ჰპოვებს!
რაც წარწერილნი მათზედ ყოფილან,
ისანიც დროთგან მთლად აღმოფხვრილან!
მხოლოდ ჩვენ გვესმის მათ უცხო ენა,
ივერიის ძეს უყვარს მათ სმენა!
ჩვენს გულს უხმონიც ბევრს უამბობენ,
რაც რომ ყოფილან, მაზედ უბნობენ.
მაშ მტრის ხელსა არა რა მორჩა?...
-რა, საუნჯე დიდი რამ დაგვრჩა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარი ვაზისა!... მადლი იმ ჯვარის
ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის.

## 4. გ ა ლ ი ა.

სადაც გინდ ვიყო, რა მგამა,
ყოფაცა მქონდეს ნებისა.

რუსთაველი

ნუ დაატყვევებთ შროშანსა, ნუ ჩასვამთ გალიაში:
ღმერთმა შეასხა მას ფრთები, ფრინავდეს, სტვენდეს ბაღშია,
ნუ დაატყვევებთ არწივსა: მთა-კლდეა მისი სამშობლო,
მის სახავარდო ცა არის, მის სადგურია ფრიალო.
ნუ დაუტყვევებთ გულს ტურფას: იმისი გული ზღვა არის;
ვინც უყვარს, დეე მას წაჰყვეს, სიკვდილი არის სხვა მისთვის;
ღმერთმა მას მისცა ის გული, მის არსი იმის გულშია,
იმის სიცოცხლე და შვება მხოლოდ ის სიყვარულია!
ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა, თუმც იყოს არა მცნებისა;
დეე, მაღლა თქვას, წარმოთქვას, — მაშია ყოფა ნებისა.
ღვთის ქმნილს გალია არ შვენის, რად იყოს ტყვეობაში?
ბევრით სჯობია სიკვდილი სიცოცხლეს გალიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5. ორი სიზმარი

### I

ვნახე სიზმარი: აღვსულიყავ მას მთას წმინდასა,
სადაც გალობენ ანგელოზნი ღვთის დიდებასა.
ჩვენი სამშობლო, მშვენიერი ჩვენი ივერი,
მაგრამ ივერი უსულდგულო, ივერი მკვდარი
გარდაშლილიყო ზღვის კიდემდინ ჩემთ თვალთა წინა;
სიცოცხლის ცეცხლი გამქრალიყო მის წიაღს შინა,
მზის სხივნი, უხვად ბრწყინვალენი, მაზედ მნათობდნენ,
მაგრამ უსულოს და გაყინულს ვეღარ ათბობდნენ;
წყალნი ჩნდნენ, მაგრამ შემდგარიყო მათ მდინარება,
ყვავილთ და მდელოს აღარ ჰქონდათ თვის მცენარება;
აღარ იძროდნენ აღარც ხენი, აღარც ნიავი,
ბუნება იყო სრულად მკვდარი, სრულად უძრავი.
ვხედავდი მრავალთ მაგარ სადგურთ, ტაძართ დიდებულთ,
მაგრამ შემუსვრილთ, დარღვეულთა და დატევებულთ.
ეგრეღ უსულო ჩემთ თვალთ წინა იდო ივერი,
მაგრამ მკვდარიც კი იყო ტურფა და მშვენიერი.
ეგრეღ ასულსა ტურფას, წმინდას, ახლად მიცვლილსა,
გულ-ხელ დაკრეფილს, გაციებულს და ფერმიხდილსა
აღარ აცხოვლებს ცა ბრწყინვალე და ქვეყნის შვება,
მაგრამ მის სახეს კვლავ უბრწყინავს თვისი შვენება.

### II

ვნახე სიზმარი: კვლავ აღვედი მას მთას წმინდასა,
სადაც გალობენ ანგელოზნი ღვთის დიდებასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავდი ივერს, გარდაშლილსა ჩემთ თვალთა წინა,
სიცოცხლის წყაროს გაეღვიძნა მის წიაღს შინა.
მზის სხივნი, უხვად ბრწყინვალენი, მაზედ მნათობდნენ,
და მის მთა-ბართა და ხეობათ უხვად ათბობდნენ;
წყალნი, საკადნი ფრიალოთგან ქუხილით სჩქეფდნენ,
მოკამკამენი მდინარენი ველებზედ რბოდნენ;
ზურმუხტნი ველნი და ყვავილნი კაცთ და ბუნებას
უხვად და მდიდრად უგზავნიდნენ თვისს სუნნელებას;
მაგრამ სადგურნი და პალატნი, წმინდა ტაძარნი
თვის ნანგრევთაგან დიდებულად იყვნენ ამდგარნი;
მხიარული ხმა წერაქვთ-ბართა, საღმრთო ხმა ზართა,
მაღლა შესძახდა განღვიძებულთ მთათა და ბართა;
ვხედავდი ივერს მის ძეთ ხელით, ძლიერის ნებით
ტჳრფად მორთულსა მშვენიერის შენობებით;
ვხედავდი მაღლა ცას ნათელსა და მშვენიერსა,
დაბლა მიწაზედ—ერს მშრომელსა და ბედნიერსა.
გამომეღვიძა . . . . . . . . . .

1879 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 6. ძველი დმანისი *)

მამა-პაპათგან ხვედრად შემხვდა დმანისი ძველი.
დმანისო ძველო, აბა მითხარ, შენგან რას ველი?
სალა ფრიალო, უნაყოფო ხარ აღმართული,
მწვანე მდელოთი, მწვანე ტყითა არ ხარ მორთული;
შენს სალა გვერდზედ ვერ გავავლებ გუთნითა კვალსა,
წყარო მცინარით არ ახარებ პატრონის თვალსა;
ვაზს არ ასარებ, რომ რთველათა გულა ვიხარო,
რომ შენის ღვინით გულის ჭმუნვა, სევდა ვიქარვო;
დარღვეულს გზაზედ შენზედ ასვლას კაცი ძლივს ჰბედავს.
მაშა ღვთის თვალსა შენზედ მადლით არ მოუხედავს.
მაშა, დმანისო, არაფრისათვის არა ხარ სარგი,—
რად მინდიხარ მაშ, თუ ჩემთვისა არა ხარ მარგი?...
მაგრამ ეგ ციხე, შენს ვრცელს ქედზედ მორტყმული გარე,
მაგრამ ეგ კოშკნი, ეგ ტაძარი და მამათ არე,
როსმე მაგარნი და ამაყნი, დღეს დარღვეულნი,
ჩემთ მამა-პაპათ ისტორიის წმინდა რვეულნი?!
მოგესალმები მამა-პაპის მაგარ სადგურო,
დიდ ხანს ვერ გნახე და აწ მინდა, დიდ ხანს გიყურო.
მოგესალმები დიდთ ნანგრევთა პატრონი თქვენი,
დიდის შენობის, როგორც თქვენა, საბრალო შთენი.

---

*) სოფელი დმანისი მდიდარის შენობათა ნანგრევებით ორბელიანთ მამულშია, მაშავერის წყალზე. მამულის გაყოფის შემდეგ ერგო ავტორს.

ვდგევარ თქვენ წინა თავმოხრილი, ფიქრით მოცული,
ვდგევარ და ფიქრში მიახლდება, რაც არს წარსული.
მაგრამ რისთვისა და რად მინდა მის მოგონება,
რაც რომ ყოფილა, წარსულა და აღარ იქნება,
რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკვნესებს და სულსა სტანჯავს,
რაც რომ მდიდარსა ფანტაზიას და ზღაპარსა ჰგავს?...
განქრი, ღმანისო, და დაინთქ უფსკრულსა შინა,
ჩემ სატანჯავად რომ არ იდგე ჩემთ თვალთა წინა!

1866 წ.

## 7. კაცს ის არის

კაცი ის არის,
ვინც ოფლს მიწას ღვრის
და დაუდგრომლით ხელით ძლიერით
დედა-მიწასა
და მის წიაღსა,
ღვთისა მადლობით, მხიარულებით
აპობს და არღვევს,
დაღალვას არ სდევს
და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს;
და იმ ტკბილს ნაყოფს
ქვრივ-ოხერთ უყოფს
და უშრობს მშიერთ ობოლთა ცრემლებს.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი ის არის,
ვისიც გულს ესმის
ციური სიტყვა: „ძმობა, ერთობა"
და სიყვარულით
აღვსილის გულით
დავრდომილთ ძმათა მოესმარება;

*
* *

ვინც საქმით ქველით,
გონებით, სწავლით
მიახლოვდება მაღალ ღვთაებას;
ვინც ცდილობს, მისწვდეს
და ჭკუით მიხვდეს
საღმრთო განგების იდუმალ ნებას,—
გამოიძიოს,
გამოიკვლიოს
დიდი, უსაზღვრო ღვთისა ქმნილება,
და ჰპოვოს მაში,
იმ ღვთის დიდს ღვაწლში
მის საიდუმლო: ჭეშმარიტება;
და მის ძლიერით
სიტყვით და აზრით,
ვით აბგარ-აბჯრით, მთლად შეიჭურვოს,
და იგი სიტყვა,
მღელავი, ვით ზღვა,
მაღლა უშიშრად ერთა აუხილოს;

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც უდგას შორსა
სიცრუვეს, შურსა,
ვის არ ეხება პირმოთნეობა;
აქვს სული წრფელი,
სიტყვა ნათელი,
გულს დაიმარხა ჭეშმარიტება;
ვის არა სცხვენის,
ვის არ ეშინის,
იგი მაღალთა მაღლა ასმინოს,
და იმ ღვთაებას,
ჭეშმარიტებას,
არ დაიზოგოს, თავი შესწიროს.

*
* *

ვინ ვრაცხოთ კაცად?
არ ვიცი არსად,
ვერსად ვერ ვპოვებთ მას წმინდა არსსა..
იყო კი ერთი,
ის იყო ღმერთი.
ისიც უგუნურთ კაცთ აცვეს ჯვარსა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 8. ობოლი.

### I

იყო ობოლი, სიობლეში აღმოიზარდა.
იმ ობლისათვის ამ ქვეყანას არვინ ზრუნავდა,
მაგრამ ზრუნავდა იმ ობლისთვის ღმერთი მაღალი.
მას მაზედ ჰქონდა მიქცეული მოწყალე თვალი.
დალოცა, ბრძანა: „აღვსილიყავ ჩემის მადლითა,
სული უმანკო გეგზნებოდეს საღმრთო ალითა,
გქონდეს ნათელი, წმინდა გული, ბრძენი გონება,
ძმობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა;
აზრი მდიდარი, ენა ტკბილი, სიტყვა დამწველი,
დიდების სხივით შეიმოსოს შენი სახელი!
და მან სიტყვამა და სახელმა ანათონ ლამპრად,
შენის სამშობლოს შვილთა გულნი აცხოვლონ მარად!“

### II

აჰა, ობოლი! არვისა აქვს მასთან ერთობა,
მოძმებში მარტო, ცასთან, მთებთან, ზღვასთან აქვს ძმობა!
იგი მათთან არს, მათთან ცხოვრებს და მათთან უბნობს,
თავის ობლობას, მარტოობას ის მათ უამბობს.
შესცქერის ცასა ელვარესა, მზით ანთებულსა,
ზღვაზედ და ხმელზედ დიდებულად გადმოკიდულსა,—
ცას, გაბრწყინებულს მთოვარითა და ვარსკვლავებით,
ცას დაბნელებულს და მგრგვინავსა ელვით და ჭექით;
მთათა და მათ წვერთ, ცამდის ასულთ, უზარმაზართა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლის, ყინულის საუკუნო ტახტთა სპეტაკთა;
მათ ხეობათა, გაფურჩქნილის ტყეებით მორთულთ,
დაბლა, თვის ფეხთ ქვეშ ბნელთ, წყვდიადთა, უძირო უფსკ-
რულთ.

## III

აჰა, ობოლი გარდავიდა მთასა და ტყესა,
მიდის და მისდევს ზღვის კიდისკენ დიდს მდინარესა.
ნახა შავი ზღვა ლურჯი, წმინდა, მიძინებული,
ვით ყრმა დედის გულს, თვის კიდეზედ მისვენებული.
ყრმას ძილს სიზმარნი უცხო, ტკბილნი გულს უხარებენ,
ზღვას მიძინებულს სხივნი მზისა უალერსებენ;
მზე მას დასცქერის და მაზედა სხივს ათამაშებს,
ვრცელი, უსამზღვრო მკერდი ზღვისა ბრწყინავს, კამკამებს.
მიდის მზე თვის გზას და დიდებით ზღვას ჩაესვენა;
მყუდრო საღამო, გულთ საამო მას მოეფინა.
მთვარე, ვარსკვლავნი, ღამის მნათნი ცაში გაბრწყინდნენ
და თვის დიდ სარკეს, ზღვის უსამზღვროს გულს ჩააცქერდნენ,
და მას სარკეში შთაიხატა ზეცა მეორე,
როგორც მაღლა ცა ვარსკვლავებით, მთვარით ელვარე!

## IV

მაგრამ მოესმა ობოლს შორით გრგვინვა საზარო,
იმუსრებოდა, ინგრეოდა თითქოს სამყარო.
შეიძრა მძიმედ ზღვა თავის ძილში, დაიგრიალა,
განრისხებულმა ზვირთებით და ტალღით იელა,
შეიმოსა იმ ზვირთებით და იმ ტალღითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მხედარი მეომარი აბგარ-აბჯრითა.
აღდგა ვეშაპი, მთლად გაშავდა და დაიკლაკნა,
ასმინა მთა-ბართ საშინელი თვის დიდი ენა:
სჭექს, ქუხს და გრგვინავს, და მრისხანე ქაფს ზვირთების ასხამს,
პირქვე სცემს ნავებს, ჰლეწს ხომალდებს და უფსკრულში სნთქამს!
თავის აბჯარით—მთა-ზვირთებით სცემს თავის კიდეს,
თვის საუკუნოს, მაგარ დარაჯს, თვის საპყრობილეს.
ჰსურს, რომ გააპოს და გაგლიჯოს თვის საპყრობილე,
იმის დაცვისა ტყვეობაში ღმერთთან მოყვალე,
მაგრამ უშიშრად უდგას ზღვასა კოლხიდა ძველი,
მშვენიერთ ასულთ, ძველად განთქმულთ, მიწა მშობელი,
მტკიცე კვარცხლბეკი, საფუძველი იალბუზისა,
ძველი ქვეყანა ოქროს კრავის და ბიბლიისა...
ობოლი ჰკვირობს. „რა არს,—ფიქრობს,—მაღლით ღვთის ნება?
სად შევისწავლო მის უსაზღვრო დიდი ქმნილება?“

## V

ქვეყანავ ღმერთთა, მიწავ გმირთა, ელლინთ მამულო,
მტარვალთ ხელითა დანგრეულო და წამებულო,
დიდო აკვანო, დიდო კერავ განათლებისა,
დიდო სამშობლოვ ჰომერის და თემისტოკლისა,
შენ შეიშვილე და შენ იძმე იგი ობოლი,
და შენთ ძეთ სწავლით და მათ სიბრძნით აწ შემკობილი,
უკვე ჭაბუკი ზღვას მოაპობს და ნავით უმზერს

შორს ცას სამშობლოს და სპეტაკსა იალბუზის წვერს
უმზერს და თვალთა მათ შვენებას ველარ აშორებს,
სამშობლო მიწას უამბოროს, გული აშურებს...
გადმოსტა, მიწას უამბორა და თაყვანი სცა,
და მას ეგზმანა, რომ მან მიწამ მას გულს ხმა მისცა!

## VI

წავიდა, მიდის, აჰყვა მასვე დიდსა მდინარეს,
უმზერს მთა-ბართა, თვის საყვარელს სამშობლო მხარეს.
ნახა: აქ კლდენი, ფრიალონი გზად იჭრებიან,
ძველნი ტაძარნი დანგრეულნი კვალად დგებიან;
იქ გზას უჭრიან დრე-კლდეებში, მთებით ბარს, რუთა;
აქა აგებენ მაღალ კოშკებს, მაგარ საძგურთა,
იქა—ტაძართა, დიდთ პალატთა და მაგარ ციხებს;
იქ მდინარებში სდგმენ დიდთ კედელთ და სდებენ ხიდებს.
ესმის ყოვლის მხრით მაღალი ხმა წერაქვ-ბარისა,
შექა ნაღმისა და საამო ხმა სიმღერისა.
ნახა, სამშობლო ცხოვრებისთვის ახლად დგებოდა,
ახლის ცხოვრებით და დიდებით იმოსებოდა.
დიდების სხივით შემოსილი ნახა თამარი,
იმისი სახე მშვენიერი და მოღიმარი,
მისი სიტურფე, მის სინაზე, მისთ თვალთ ნათელი,
ივერის მთა-ბართ და ერისა მანათობელი!
მაშინ აღმოსდნენ იგი ლექსნი მის მაღლის სულით,
ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბილნი, სავსენი სიბრძნით,
მოკამკამენი წყაროს წყალნი, ცით ნაპერწკალნი,
ალმას-ზურმუხტი, მარგალიტნი, უფასო თვალნი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VII

მეფე-შვენება ზის თვის ტახტზედ ფიქრით მოცული,
თლილსა თითებში მას უპყრია დიდი რვეული,
ბროლის მკერდ ქვეშა წრფელი გული ძლიერად უძგერს!
დიდებულთ კრება ტრფიალებით თვის მეფეს უმზერს,
ჰკვირობს მის სიბრძნეს, მის სიტურფეს და მის შვენებას,
ელის მისს ნაზს ხმას, მისს ნაზს ღიმილს და მშვიდს ბრძანებას...
ბრძანა: „მსურს ვნახო, ვინც წარმოსთქვა ესე ლექსები,
ტურფად წყობილნი, მარგალიტნი, საგულგმანები".
მოჰგვარეს იგი; არს ჭაბუკი და მშვენიერი.
ნათელს თვალებში მას უბრწყინავს მადლი ციური:
გონების სიბრძნე, სულის სიმშვიდე და გულწრფელობა,
ძმობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა!
მეფემ-მშვენიერამ გადაავლო თვალი ნათელი,
არ გამოჰკითხა მას არც გვარი, არცა სახელი;
უბრძანა მხოლოდ: „ეს ლექსნი გულს ვით ჩაგინერგდნენ,
გულთა დამწველნი ვით აღმოხდნენ, ვით დაიწერნენ?"
— დიდო მეფეო! მაგ რვეულში რაც დაიწერა,
შენმა ნათელმა, მშვენიერმა სახემ შთამბერა.—
ნათელი მეფე მას უმზერდა ტკბილის ღიმილით,
უთხრა: „ეს ლექსნი შთაბერილნი გაქვს შენ ცით მადლით:
იყავ დიდებულ და დიდებულთ იყავ მშვენება,
ჩემის სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ დიდება!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იყო იგი და რა იყო იმას სახელი?
ის იყო შოთა, დიდი შოთა რუისთაველი!*)

## 9. პოეტს

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუა-ბაზრისა;
იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,
თუ არ ღვინო, ტოლუმბაში და კინტო,
მათ დუდუკი, დიმპლიპიტო და ზურნა,
მათ უაზრო ლაზღანდრობა, ყიყინა?
მე არ მიყვარს სურათები ამ გვარი.
მუხამბაზით სხვას რას იტყვი, მითხარი?
მე მომეცი კილო რუსთაველისა,
გაფურჩვნილა, ვით ყვავილი ველისა,
მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,
ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი.
იმ კილოთი გვაჩვენე სხვა სურათნი,
დაგვანახვე ველნი, ბორცვნი და მთანი;

*) ავტორს ხშირად გაუგონია თავის დედის, მეფის ირაკლის II-ის ასულის თეკლესაგან, რომელიც გარდაიცვალა 1846 წ., რომ საქართველოს სამეფო სახლში ძველ დროთგანვე სიტყვიერი გარდმოცემა დარჩენილა: შოთა რუსთაველი ყოფილა ობოლი, ტომით მესხი, სოფელ რუსთავიდგან, რომლის სახელითაც იმ დროებში მისთვის უწოდებიათ „რუსთაველი“. იგი იყო მშვენიერი სახის კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა ზეცა, ქვეშ ზღვა განუსაზღვრელი;
მთლად ბუნება დიდი გასაკვირველი.
ველნი, ბორცვნი ტურფად იფურჩვნებოდნენ,
წვერნი მთათა ცის კარს ებჯინებოდნენ;
ცის კამარა ბრწყინავდეს მნათობთ სხივით,
ან გრგვინავდეს ელვითა და ქუხილით;
კაშკაშებდეს მზის სხივითა ზღვის გული,
თვის ნაპირზედ მშვიდათ მიძინებული;
ან მრისხანე ცაში ზვირთებს ისროდეს
და თვის მკერდზედ ნავთ ხომალდებს მუსვრიდეს.
დაგვანახვე დიდებული ბუნება,
იმის დიდი მრავალგვარი შვენება.

სხვანიც დიდნი საგანნი გაქვს, პოეტო:
გმართებს, ძველ დროთ გმირნი გამოგვიხატო,
მამულისთვის მათ ბრძოლა საშინელი,
ბრძოლის გრგვინვა, საზარო ბრძოლის ველი.

დაგვნახვე ასული მშვენიერი,
სახეს უჩნდეს გულის ჭმუნვა ძლიერი,
იყოს ვარდი, ავდრისაგან ფერმიხდილი,
და ყვავილი, ქარისგან თავმიხრილი.
ნაზი, ტურფა, მშვიდი და წმინდა გული,
მაგრამ მთელის არსით შეყვარებული.
მისი სატრფო შორს შავს ბედთან იბრძოდეს;
მშვენიერი ცხარის ცრემლით იღვროდეს;
შილლერისას ჰგვანდეს ამალიასა,
ან შექსპირის ციურს ოფელიასა.
შეგვიყვანე გლეხის კაცის სახლშია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ ბაღში და იმათ ვენახშია;
დაგვანახვე, რით სწუხს, რით ხარობს გლეხი;
ჩარჩებს დაეც რისხვა ღვთისა და მეხი...
და ჩვენც მაღლა გვამხილე, რაც გვჭირს ავი,
სიზარმაცე და უმეცრება შავი!
რისთვის მინდა და რაში ვაქნევ კინტოს,
იმის დუდუკს და იმის ლიპლიპიტოს,
ან ლ—ანს, ან დ . . . ო—კოვს?
ჩემი გული სხვა გვართ სურათებს ითხოვს.
მაინც ამ ხმით ვცდი, როსმე რამ გიამბოთ,
მდაბიური,—იქნება ზოგთ გიამოთ.

## 10. დედოფალი

მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი,
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი!

რუსთაველი.

დგას მეფის წინა მშვენიერი ვინმე ასული,
მის ტოლი ტურფა ამ ქვეყანას არვის უნახავს!
დგას ბროლის მკერდზე თავმოხრილი, სევდით მოცული,
შავს წამწამზედა მარგალიტი ცრემლი უბრწყინავს.
ჭაბუკი მეფე მას მშვენიერს თვალებში ჩამზერს,
პირველ უღელავს სიყვარულით ჭაბუკი გული,

ახლის, უცნობის, დიდის გრძნობით უთრთის და უძგერს,
მშვენიერ არსში თვის არსით არს მთლად დაკარგული!
ეტყვის: „რა გსურსო? შენი არის ჩემი დიდება,
ჩემი სიმდიდრე და საუნჯე შენ ფეხთ იქნება!
დიდსა პალატსა, თვალთ წამტაცსა, მე შენ აგიგებ,
ვერცხლით, ოქროთი, წალკოტებით მას გავაბრწყინებ;
მოგრთავ ძვირფასის ძაწეულით, ძვირფასის თვლებით,
რომ შენნი ტოლნი შენ გიმზერდნენ შურის თვალებით!
მარგალიტებით, დიბით მორთულს მშვენიერს ტახტზედ
შენ დაგაძინებ, გაგაღვიძებ ჩანგის ტკბილ ხმაზედ,
ოღონდ გიყვარდე... შემიყვარე! ოღონდ ნუ მომკლავ!
ამ ჭაბუკს გულსა სიყვარულით ოღონდ ნუ დასწვავ!
უძმო, უდედო მეფის ტასტზედ მე ვზივარ ობლად,
მეფე ერისა; ჩემს ჭაბუკს გულს არვინ ჰყავს ტოლად!“
მაგრამ მეფის წინ თავმოხრილი, სევდით მოცული
დგას უპასუხოდ მშვენიერი ტურფა ასული...

* *

„მაშ რა გსურს, მითხარ? გსურს ავისხა აბჯარ-აბჯრები
და სხვა მეფეზედ წავიყვანო ჩემი ლაშქრები,
და ბრძოლის ველზედ მოვიპოვო გმირთა სახელი
და იმ სახელით მხოლოდ გნახო ტურფა ნათელი?“

* *

მაგრამ მეფის წინ თავმოხრილი და სევდიანი
დგას უპასუხოდ მშვენიერი თვალ-ცრემლიანი.

* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მომეც პასუხი! შენი სახე, შენი არსება
გაუყრელია ჩემის არსით, თვალთ არ შორდება!
მე ტურფა სახე რაკი ვნახე, გულს დამრჩა ხატად,
გულს დავიმარხე, შევინახე, ჩემთან არს მარად.
შენ მე ვერ მიცნობ, მე შენ გიცნობ, ვიცი, ხარ ვინცა,
შენ ვერ მხედავდი, მე გხედავდი, იყავ სადაცა:
მალვით ტაძარში, როცა იყავ ცაში და ღმერთთან,
და ღმერთი იყო თვისის სხივით და მადლით შენთან;
ღარიბს ქოხშია, როცა ობოლს აკვანს ურწევდი
და ტკბილის მღერით და ტურფა ხმით ნანას უმღერდი;
სადმე ქუჩაში, მივარდნილში, როს ობლებს, მშივრებს
ბროლის თითებით პურს უყოფდი, უშრობდი ცრემლებს!...
ჰმარა! შენია ჩემი სკიპტრა, ჩემი პორფირი,
სამეფო ტახტი, მის უფლება და ჩემი ერი!...
ბრწყინვალე გვირგვინს უკეთესი მაკლია თვალი.
შენ ხარ ის თვალი, ქალთა თვალი და დედოფალი!“

* *

მშვიდის თვალებით მშვენიერმა შეხედა მეფეს,
წარმოსთქვა: „ჩემთვის ფასი არ აქვს შენს დიდს საუნჯეს!
თუ გსურს, ის იყოს სასყიდელი ჩემის სიწმინდის,
მეფევ, საუნჯე მთლად ქვეყნისა მას ვერ იყიდის!
ჩემი აკვანი სხვა ნანაზედ დედას ურწია,
ჩემთვის მამაჩემს სიმღერის ხმა სხვა უმღერია.
მეფევ, არაფრად მჩანს მე ჯდომაც მეფის ტახტზედა,
თუ მის სიმაღლით არ გარდმოდის მადლი ერზედა,
და, თუ გსურს, ვიყო დედოფალი შენის ერისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ ჯერ მას მიეც, რაც მისია—ყოფა ნებისა!
ნუ ანდობ შენს ერს, დიდო მეფევ, მძლავრთა მოხელეთ,
შენი სამეფო შენ და ერმა ერთად განაგეთ.
შენთვის ნუ გინდა ერის შრომა და მის სიმდიდრე,
იმის სიმდიდრე და მის შრომა მასვე ახმარე.
ქვრივი, ობერი შეიწყნარე და შეიბრალე
და დავრდომილი სახლი-არე მას გაუახლე;
მშიერის ობლის ცრემლთან, მეფევ, ცრემლი აფრქვიე,
და ის ობოლნი გულს ჩაიკარ და მოეხვიე.
უფსკრულს ჩავარდნილს სიმშილითა ნორჩსა ასულსა,
ქვეყნის ნათელსა, მის სიცხოველეს გამოკლებულსა,
მიეცი ხელი და უფსკრულით აღმოახდინე
და ღვთის ნათლისათვის, კეთილისთვის კვლავ აღადგინე!
აშურე, მეფევ; მანამ ერი შენ შემოგცქერის,
მინამ მის გული შენთვისა სძგერს და შენთვის არის,
ახლის ცხოვრებით შენი ერი შენ განაცხოველე!
მაშინ შენი ვარ... მაგრამ, მეფევ, როგორც მეუღლე,
არ დაგიმალავ, როგორც შენ მე, მეც მინახვიხარ.
რად დაგიმალო? როგორც შენ მე, მე შენ მიყვარხარ!"

* *

ჭაბუკი მეფე ასულს უმზერს განცვიფრებული,
მიხვდა მის წრფელი, ჯერედ ნორჩი და წმინდა გული,
რისთვისაც ღმერთმა მას დაადგა გვირგვინი თავსა,
მიხვდა თვის ტახტის დიდებულის ტვირთსა და ვალსა:
ნათელ თვალთაგან გადმოსცვივდა ცრემლი ნათელი,
და იმ ცრემლისა ღმერთი მაღლით იყო მხედველი!

* *

განვლო ზაფხულმა, შემოდგომამ, განვლო ზამთარმა,
როგორც ოცნებამ, მოჩვენებამ, როგორც სიზმარმა,
და განაცხოველა გაზაფხულმა გული ქვეყნისა:
გამწვანდნენ ველნი და მოისმა ხმა ბულბულისა!
მაისის დღეა, ბულბული სტვენს, ნიავი ჰბერავს,
დიდის ქალაქის დიდი ერი იძვრის და დულავს:
ბრწყინვალე ტახტზედ მეფის გვერდით ზის დედოფალი,
იმ დღით მის ტახტის უკეთესი, უფასო თვალი.
ჭაბუკი მეფე მას მშვენიერს თვალებში ჩამზერს,
გული ჭაბუკი სიყვარულით უთრთის და უძგერს..
შევიდნენ მეფე-დედოფალი ოთახს საწოლსა,
დიბით, ფარჩებით, ყვავილებით მდიდრად მორთულსა.
დედოფალს მკლავი მეფის მხარზედ აქვს მოხვეული;
მეფე ხსნის თითონ, რითაც იგი არის მორთული...
სწვეტავს გულ-მკერდსა, გულთ წამტაცსა, ბროლს ტანს ეხვევა,
იგიც მოლად არსით უცნობს, ციურს გრძნობას ეძლევა,
თვალ მიბნედილი, ბაგე ღია და მიღალ-ული:
ნეტარებისა ნათელ ზღვაში არს დაკარგ-ული.
ათრთოლდა უცებ, მეფის კლავზედ თრთის, ვით ფოთოლი,
მშვენიერია, იმ მშვენების არსად არს ტოლი!

* *

გათენდა დილა, ბულბული სტვენს, ნიავი ჰბერავს;
მეფის წალკოტი ყვავილებით და ნამით ბრწყინავს.
იქ ზის ყვავილი — დედოფალი, ფერით მიმკრთალი,
იმ ყვავილებზედ უფრო ტურფა არის ყვავილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის დიდს სახლობას: ქვრივ-ოხერთა და მშიერ ობლებს
ბროლის თითებით უყოფს საზრდოს და უშრობს ცრემლებს.
მეფე ზის ერთან და განაგებს მასთან სამეფოს,
მაგრამ მის გული ტრფიალებით ელის საღამოს!

## 11. იმედი.

### I.

ვინა ხარ, ქვა, მშვენიერო, მოხვედი საით?
ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური მოფრინდი ცით?
შენი მზერითა აქამომდე ვინ დასტკბებოდა?
ცა, თუ ცის ქვეშე შენით, ტურფავ, გაბრწყინდებოდა?
ვინა გალობდნენ შენს შვენებას, ცასა ციურნი,
თუ ფერხთ მოდრეკით, განკვირვებით აქ ქვეყნიერნი?
ხარ ანგელოზი, სამოთხიდგან გადმოფრენილი,
ჩვენ სამშობლოთა დასატკბობლად აქ მოვლენილი,
ან თუ სატანა ჯოჯოხეთმა მოგგზავნა ხმელად;
მოგცა შვენება, გადმოგაგდო გულთ სავნებელად?
ან ხარ ასული ამ ქვეყნისა, ვით სხვა ასული,
მაგ ლამაზ მკერდ ქვეშ, როგორც სხვათა, შენც გიძგერს გული?
აბა, მაშ გვითხარ: ვით შემკულხარ ეგრედ მდიდრულით
ჰარმონიითა, სიტურფითა, შვენებით სრულით?
ვინ ბედნიერმა და სად, როგორ ეგრედ აღგზარდა,
ან ვისი თვალი, შენით მთვრალი, მარად გიმზერდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთის ყვავილთ შუა თუ გაიზარდე,
ან თუ ჩრდილოთ ხარ, წყვდიადს სტუქსე, მოხველ აქ მალე,—
მოგესალმებით ნათლის გულით შენ მშვენიერსა,
შენც გაუღიმე სიმშვიდითა ძველსა ივერსა,
სადაც ბუნებამ დიდებულად ზღვასა და ბართა
შესამკობელად ფრიალონი წინ აღუმართა;
სადაც მთათ წვერნი ცასა კიდეს ებჯინებიან,
ველნი კი მარად ყვავილებით იმოსებიან;
და მთაზედ რბიან წალკოტთ შუა წყალნი მცინარნი.
აქ სიყვარულსა სტვენენ მარად ბულბულნი წყნარნი;
რა ფუფუნებით ზამთარ-ზაფხულს ვარდნი შლილობენ,
ღამით ზეფირი, დილით ნამი მაზედ ხარობენ!
აქა ცა არის ლურჯი, წმინდა, მნათი მარად ჟამს;
აქა დავითი და თამარი სულსა კიდევ სწამს;
აქ რუსთველისა ლექსი კვალად ატკბობს ყურსა;
აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ციურსა.
აი, სად მოხველ! და, აქ ყოფა თუ მოგეწონა,
გაგიშლით გულსა ფიანდაზად შენ ფეხთა წინა.
იყავ მშვენება, ნეტარება ივერიისა,
იყავ ჩვენთვისა ცით ვარსკვლავი, შუქი მთვარისა!

## II

მაგრამ აქ ხშირად ჰპოვებ ტაძართ, შთენთ დიდებულთა,
პალატთ ნანგრევთა და მონასტერთ აოხრებულთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სადგურნი, ფრიალოთგან გადმოკიდულნი,
უფსკრულს უმზერენ დარღვეულნი, დატყვევებულნი;

წმინდა საფლავნი ნანგრევთ შუა ხშირად არიან,
მოუხსენებელთ, უპატრონოთ ტყენი ჰბურვიან;

არ აცხოვრებენ მთენთ და საფლავთ წირვა, ცისკარი;
მხოლოდ დროებით მათზე ჰბერავს გრიალით ქარი!

რას ნიშნენ მთენნი, ეს ნანგრევნი,—შენ გსურს, იკითხო?
გსურს ივერიის შავი ბედი აღმოიკითხო?

ჩვენ ნურას გვკითხავ, ჯვარი არის,—მიდი მის კარსა,
რაც ღმობიერმა გულმა გკითხოს,—ჰკითხე მას ჯვარსა.

მირიანის დროს ხელში ეპყრა წმინდა ასულსა,
აწ ძველს ტაძარში მასა ჰპოვებ წმინდად დაცულსა,

ესე არს ჩვენი ისტორია და ჩვენი ბედი:
ეკლის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი!...

სისხლის ცრემლითა მას ჯვარზედა არს წარწერილი
ჩვენის სამშობლოს ბნელის ეტლის მოთხრობა ბნელი!

გსურს, სცნო მის აზრი, რაც ცრემლითა მასზედ სწერია?
აი, ეს აზრი: „წმინდა ჯვარი და ივერია!“

მათთვის მსურვალედ მამა-პაპათ გულნი უძგერდნენ,
მათ დასაცველად მთელს აზიას მწარედ ებრძოდნენ.

„ერთის ხელითა წმინდათ ტაძართ, პალატთ ვაგებდით
და მეორეთი მტერსა ვცემდით, ხმალს არ ვაგებდით:

ან სულ გავწყდეთო და ან მტერთა ვძლიოთ ეგება.“
სამშობლო მიწა ქართველთ სისხლმა სრულად შეღება!

მაგრამ კეთილი შენი გული, ვხედავ, ჭმუნვარებს,
მაგ ლამაზ თვალში მარგალიტი ცრემლი ელვარებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავ, მაგათგან რაღა დაგვრჩა? მათ სამარენი,
და მტერთაგანა შემუსვრილნი მათნი არენი!
ერთი საუნჯეც დაგვრჩენია, —აი ის ჯვარი...
მაგრამ ქართველი მათთვის მოკვდეს, კვლავაც მზა არის.
ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდამი, გულთ საკლავი და სავალალო!

## III

სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;
რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მამითხრობდა.
ის ჟამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...
აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი, კახი პატარა:
„ურწმუნოთ მამულს არ მივცემო, არა და არა!“

—

იბრძვის მთა-ბარში, წინ და უკან, იბრძვის ზედ მტკვარ-
ზედ,
იბრძვის ოთხკუთხივ, გარედ და შინ, ზედ თავის კარზედ;
ებრძვის ქრისტეს მტერთ, დღე და ღამე არ ხუჭავს
თვალსა;
საფლავს დიდებულს არ ჩაიტანს სამშობლოს ვალსა!
მაგრამ ეგ ღვაწლი, დიდი ღვაწლი, კარგი კმა არი!
მტერთა დროშებით მოცულია ქალაქის კარი.

—

როგორ თუ კმაა? მაშ ირაკლი საყვარელს მამულს,
ქრისტეს მცნებითა განათლებულს, ბუნებით შემკულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცემს ურწმუნოთ უომარად, სისხლ-დაუღვრელად?
წინ მტერი უდგეს, არ გავიდეს ბრძოლისა ველად?
როგორ? იკისროს—რაც თვით დასცა—სპარსთა მონება
და შერჩეს კიდევ თვალთ სინათლე, თავში გონება?!
ან რადად უნდა ირაკლისა თავი ცოცხალი,
თუ ქართველთ მეფეს დაერქმევა უცენის ვალი!*)
ან თუ აღარ ჰყავს ირაკლისა ერთგულნი ყმანი,
მამულისათვის სასიკვდილოდ მარადის მზანი?
ან თუ შამქორში, ასპინძაში სრულებით გაწყდნენ,
და მათ გმირთაგან ან მათ ძენი არსად არ დარჩნენ?
არა! თან ახლავს კიდევ გმირსა სამი ათასი;
სამი ათასი ქართველთ დასი არს დიდი დასი.
ძველნი თავადნი, აზნაურნი მას თან ახლავან,
მწარე ომებში დახვრეტილნი ჩვენ არა გვგვანან!
ქალაქის კარი მაგრად მათგან არს დაჭერილი.
„აქ სულ გავწყდეთო!“ ნათლად გულში აქვთ დაწერილი—
კრწანისის ბოლოს გურამისძე ზარბაზნებს მართავს,
ა მტერს სუ გასწყვეტს, ან მტრის ხელით მოიკლავს ზედ
თავს.
მოხუცი მეფე მკვირცხლის თვალით დღეს მტრის ურდოს
ზომს,
ხვალ გაუმართავს მტერს ჩვენებურს, მამაპაპურს ომს.
მაგრამ უეცრად რა ძმა-ყმათა თვალთა მიაქცევს,
თვალთგან ცრემლთ ცხართა, ულებურთა მიწაზედ აქცევს.

---

*) ვალი არის გამგებელი რომლისამე პროვინციისა სპარსეთ-
ში და ოსმალეთში, როგორც გენერალ-გუბერნატორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენანის ძმანი, შენნი ყმანი? მწუხარე ნუ ხარ;
წინ გაქვს სხვა ვალი, იშრე თვალი, ჩვენთვის ნუ სწუხარ!
აგერ მზე ჩადის და აბრწყინებს მეტეხზედ ჯვარსა,
მის მადლი ძლევას, გამარჯვებას მისცემს შენს ჯარსა!
აჰა, თენდება ის დიდი დღე, მნელი საამბოდ...
ქართველნო, ყური დამიგდევით, უნდა გიამბოთ:
სამი ათასი სამოც ათასს წინ დაუხვდება...
დღეს ჩვენი მტკვარი სისხლისფერად შეიღებება!
აბა შეხედეთ ჩვენს ქართველთა პატარა დასსა,
როგორ იღვწიან და ებრძვიან სამოც ათასსა!
მაგრამ რა გითხრათ, რა გიამბოთ? ჩვენს უღონო სულს,
ჩვენს გაყინულსა, გაქვავებულს და უგრძნობელს გულს
მწარე მოთხრობა წარსულთ დროთა არ აცხოველებს.
გმირთ მამა-პაპათ ბნელი ეტლი არ მოგვგვრის ცრემლებს!
ჩვენ არც კი ვიცით, იმ უბედურთ რაც დაგვდეს ვალი,
ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ: ბნელი გვაქვს თვალი...
ოღონდ მამათგან დაშთომილი მამული ვსჭამოთ,
და ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ—ძმათ ცილი ვსწამოთ;
ოღონდ კი ჩვენთვის მზე ნათობდეს და ცაში ნუ ჰქუხს,
რა გვენაღვლება, რაც რომ მოხდა მაშინ სოღანლუხს!..
თუ ნათლად გვქონდეს გულის გრძნობა და ნათლად პირნი,
ბევრს მოგვითხრობდნენ არაგვისა და მტკვრის ნაპირნი.

## IV

არაგვისა და მტკვის კიდენო, სამშობლო კიდევ,
თაყვანს გცემ დილით და მზის ჩასვლით თაყვანს გცემ კიდევ.

დიდი მოთხრობა თქვენზედ არის სისხლით ჩართული,
მაგრამ შენთ შვილთა სხვით რითმე გვაქვს თვალი გართული.

თვალ წინ გადგვიშლი მშვენებათა უხვთა, მდიდართა,
გვიხარის ჩქეფა და კამკამი შენთ წყალთ მცინართა,

უხვად ვიყნოსებთ ჰაერს წმინდას, სუნნელოვანსა,
სიხარულითა შევმზერთ შენს ცას ლაჟვარდოვანსა.

ის კი არ ვიცით და არ გვესმის, მისთვის არ ვზრუნავთ,
რა ისტორიის დედა-მიწას ფეხითა ვთრგუნავთ!

მას აღარ ვფიქრობთ, იმ გმირს მაშინ რა ცეცხლი სწვავდა,
სამშობლო ქვეყნის აღდგინება თუ აღარ სწამდა...

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

—

გმირო, სცან ტკბილი განსვენება შენ მხოლოდ იმ ჟამს,
როცა ქართველნი დაატირდნენ თელავში შენს გვამს...

გრძელი სიცოცხლე ირაკლისა არს ბრძოლა გრძელი,
მოსათხრობელად, საამბობლად, სათქმელად ძნელი.

—

და დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვრებოდით,
როცა ქრისტესთვის თქვენ თვალ წინა, თქვენს კარს ვწყდე-
ბოდით?

თქვენ ირაკლისა დიმილითა თავსა უკრავდით,
რჩევას აძლევდით და ქებისა ტაშსა უკრავდით!

თავიანთ საქმეც ბევრი ჰქონდათ თქვენს მამა-პაპათ:
უამბორებდნენ ზოგნი რომში თვისთ წმინდათ პაპათ;

ზოგნი თვისთ მთავართ აღსრულებდნენ მონებით ნებას
და მათ სასახლეთ კეკლუცთ დიაცთ უძღვნიდნენ ქებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შვილებსაც კი ხშირად გაზისთ შავი ბეჭედი,
არ დაიდუმებს ისტორია, ნუ გაქვსთ იმედი!
მართლ-მადიდებელთ წმინდა სისხლი კისერს გედებათ,
მაგრამ მოგკითხვენ, მაგიერი როსმე გეგებათ!...

V

გონება ხელობს, განშმაგებულს აზრი მერევა,
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა
მაშინ, მოყვასნო, გზა ვარ გკითხოთ, მითხარით ერთი:
ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?
თუ დაბადება სამყაროსი იყო მის ნება,
და თუ ეს აზრი არ არს შტერთა და ცრუ ზმანება,
თუ მართლა მნათობთ, ცას და ზღვათა, მთათა და ველებს
თავის შუქითა, სიუხვითა ის აცხოველებს;
თუ მან დაგვბადა, მან გვცა გრძნობა, ჭკუა და ენა,
თუ მან ეს ტყეენი, ეს მდელონი აღმოაცენა;
თუ თვის ქმნილებას საზღვარი და კანონი მისცა,
და სული საღმრთო და ცხოველი შთაბერა და სცა;
თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების,
თუ ნათელი არს და ნათელი ჭეშმარიტების,—
მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაუმსო?!..
შენ არ მოგხვდია გულს ეს გმობა, პატარა კახო,
როს გადაავლე შენს ქალაქსა ავლაბრით თვალი
და დაინახე, ოთხის კუთხით ავარდა ალი?!..

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მიმაქციე ტურფა სახე, ტურფა ასულო?
მწყინა ჩემგან ღვთისა გმობა, იგრძენი სულო!

## VI

მაგრამ რას ვროტავ უბედური და რასა ვუბედავ!
მე შემოქმედის განკიცხვასა როგორა ვბედავ?
ვარ მამაკვდავი, ქმნილი მიწით, მსხვერპლი მიწისა,
შთამომავალი ადამისა, თესლი მიწისა;
სიკვდილი მელის და სიკვდილსა ვერ გავექცევი,
საფლავს მკვდარიცა არა დავრჩები, მიწად ვიქცევი,
ვბედავ კი მივწვდე მოკლე ჭკუით მაღალ ღვთაებას,
მსურს, უბედურსა გზა უჩვენო ციურსა ნებას;
ვბედავ, ვიძიო ზენა სიბრძნე მე სუსტის ძალით,
ვბედავ, განვსჭვრიტო ღვთის განგება მე ბნელის თვალით!
ღმერთო კეთილო! მომიტევე შენს დაბადებულს,
ნუ მკითხავ გმობას გაშმაგებულს, გულგადაგებულს.
რა ვქნა ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება,
რა საქართველო დანგრეული მომელანდება;
რა ფიქრს მომივა: თვით ნანგრევნიც იქნება განჰქრნენ
და მათ სახელნი, მათ ხსენებაც აღარსად დარჩნენ....

## VII

მომიახლოვდა მაშინ ტურფა, მშვიდი ასული,
გრძნობითა სახე უბრწყინავდა, უძგერდა გული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გწამდესო, ღვაწლნი მამა-პაპათ არ განჰქრებიან,
გწამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან;
მართლ-მადიდებელთ ჭეშმარიტი ღმერთი ძლიერი
მოგვფენსთ თვის სხივსა, თვის სიუხვეს, და თქვენი ერი,
ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ გამრავლდება,
თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღუვავდება;
ამიერ თქვენთან დავამყარე წმინდა კავშირი,
ამიერ თქვენთან მე ვიქნები სტუმარი ხშირი!...

. . . . . . . . . . . . . . . . .

## VIII

დავემხე წმინდა, მშვენიერის ასულის წინა,
უამბორებდი მის ფერხთ მტვერსა: ტურფავ! ხარ ვინა?
თუმცა პასუხი მშვენიერმა არა-რა მომცა,
მაგრამ ნათელი და სიცოცხლე მოკლულს გულსა სცა!...